ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ორშაბათი, 25 იანვარი, 2016 №19 (6945) ფასი: 50 თეთრი

## 30 იანვარს ოპერისა და ბალეტის თეატრი საზეიმოდ გაიხსნება

გვ.12



# „ერევნის „არარატს“ თბილისში ჩამოსვლა აეკრძალება“

გვ.7

გვ.4



# სირიაში ხვიჩა გობაძე დაიღუპა

ამ ფაქტს სუს-იც ადასტურებს

## გიორგი გუგავა: „ლარის გაუფასურება ივანიშვილის ინტერესებშია“



„დენსა და გაზზე ტარიფების ზრდა გარდაუვალია“



გვ.2

„შემოდგომაზე რუსეთი საქართველოს ანექსიას აპირებს“

## სოსო ცინცაძე: „თინა ხიდაშელი თვლის, რომ საქართველოს მარგარეტ ტეტჩერია“



გვ.3





## ლადო პაპავა: „გაზპრომთან ბუნდოვანი პოზიციის დაფიქსირება დიდი შეცდომა იყო“

გვ.6

ISSN 1987-9385
9 771987 938006




## რუსული მედია ლორის გრიპის გავრცელებაში საქართველოში მოქმედ ლაბორატორიას ადანაშაულებს

გვ.5

## გია ჟორჟოლიანი: „პარტია „ქართულ ოცნებასთან“ საარჩევნო ბლოკში გვინდა ყოფნა“

გვ.3



ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# გიორგი გუგავა: „ლარის გაუფასურება ივანიშვილის ინტერესებშია“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ ბრალდება ლარის გაუფასურება სავსემთვარეობას, რა სასწაული ჩაიდინა პრემიერმა, რას აპირებს რუსეთი შემოდგომაზე, როგორ აპირებს ივანიშვილი შვეიცარიაში განცდილი ფინანსური ზარალის ანაზღაურებას? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა ესაუბრება.



**გიორგი გუგავა:**

– იმ დროს, როდესაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამო გმინავს, გამოვიდა ერთ-ერთი მსხვილი მეოცნებე ტყემალაძე და განაცხადა, რომ ლარი არ გაუფასურებულა, უბრალოდ, მისი კურსი შეიცვალა დოლართან მიმართებაშიო.

ჟარგონის ენაზე რომ ვთქვათ, ქოცები უკვე ეკაიფებიან საზოგადოებას. სხვა „ღირსებებთან“ ერთად, ბოლო დროს ცინიზმი ამ მატყუარა ხელისუფლების სამარკო ნიშანი გახდა. ამ ცვლილებებმა სულ მცირე 500.000 ადამიანი დააზარალა. ეს ის ხალხია, ვისაც კრედიტი აქვს გამოტანილი.

ამის გარდა, კარგად ვიცით, რომ ლარის გაუფასურება აუცილებლად გამოიწვევს ინფლაციურ პროცესებს. გაძვირდება პროდუქცია, მომსახურება და ტარიფები. ჩვენი მოსახლეობა კიდევ უფრო გაღარიბდება. ხალხის გაღარიბება ხდება იმ ფონზე, როცა ტყემალაძისნაირი გაქსუებულ-გაბანდიტებული ტიპების ქონება ყოველდღე იზრდება. ამაში მთავარი წვლილი მიუძღვის იმ ოლიგარქს, რომელიც მართავს ქვეყანას.

***– თქვენ ლარის კურსის ვარდნას ივანიშვილს აბრალებთ?***

– მე არავის არაფერს ვაბრალებ, მხოლოდ ფაქტების მიხედვით ვაკეთებ დასკვნებს. ლარის გაუფასურებით გასულ წელს ყველაზე დიდი მოგება ნახეს ბანკებმა. წინა წელთან შედარებით, შარშან მათი შემოსავალი ნახევარი მილიარდით გაიზარდა. აქ მოწინავე ადგილზე ივანიშვილის ბანკი „ქართუ“ იმყოფება. მისმა მოგებამ ასტრონომიული პროცენტები შეადგინა.

***– გარე ფაქტორები არაფერს ნიშნავს? ხელისუფლება ამბობს, რომ ყველაფერი გარეთ მიმდინარე პროცესების ბრალია.***

– ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელიც თავის უნიათობას გამუდმებით სხვებს აბრალებს. გადასაბრალებელი სუბიექტები კი არასდროს ელევათ. მათი უნიათობა ხან გარე ფაქტორის ბრალი ყოფილა, ხანაც – ნაციონალების. ვერაფერს რომ ვერ აკეთებენ, ეს ხან ცუდი ამინდის ბრალია, ხანაც – ზღვის მიქცევ-მოქცევის. სავსემთვარეობამ კი თურმე ლარის კურსზე იქონია გავლენა.

რას ჰქვია გარე ფაქტორების ბრალია, ხელისუფლებას იმიტომ ვირჩევთ და იმიტომ ვუხდით ხელფასს, რომ მოსალოდნელი რისკები განსაზღვროს. მე არ გამოვრიცხავ, ლარის დევალვაციაზე გარე ფაქტორებსაც მოეხდინა მავნე გავლენა, მაგრამ არსებობს პოზიტიური გარე ფაქტორებიც. იქნებ ეგ ახსნან, ამ ფაქტორებმა რატომ არ იქონია ჩვენს ეკონომიკაზე დადებითი გავლენა.

***– სასარგებლო გარე ფაქტორებში რას გულისხმობთ?***

– ჩვენ არ ვართ ნავთობის მწარმოებელი ქვეყანა, შესაბამისად, ნავთობზე ფასის კლება ჩვენი ეკონომიკისთვის პოზიტიური გარე ფაქტორია. უამრავი სხვა ფაქტორის მოყვანა შემიძლია, რომლებსაც შეეძლო ჩვენი ეკონომიკის გაჯანსაღება. ხელისუფლება ხვდება ამას, მაგრამ ეს სიკეთეები ოლიგარქების ვიწრო ჯგუფს ხმარდება, რომელთაც დღეს ხელში აქვთ ძალაუფლება. ახლა თავიანთი ქონების გაზრდას ტარიფების გაზრდით აპირებენ.

***– საარჩევნო წელს ისედაც გაზრდილი ტარიფების გაზრდას გარისკავენ?***

– ეს ამბავი უკვე გადაწყვეტილია და ახალი წელი პრემიერმა კვირიკაშვილმა ამის დაანონსებით მოგვილოცა.

ტარიფები აუცილებლად გაიზრდება იმიტომ, რომ აქ პირდაპირ არის მათი ინტერესები. კონკრეტული გვარების დასახელებაც შემიძლია. ესენი არიან ივანიშვილი და კალაძე. ენერგოსისტემაში მათი წილების არსებობაზე გაზპრომის გარშემო ატეხილი ამბებიც მიუთითებს.

ივანიშვილი გაზპრომის მთავარი აქციონერია. ახლა თუ თავისას მიაღწევს და გაზპრომს საქართველოში შემოიყვანს, ტარიფს გაზრდის და მისი მოგება ბევრად მეტი გახდება. მას ახლა განსაკუთრებით სჭირდება ფული, წაგებული თანხა აქვს ამოსაღები.

***– რა წაგებული თანხა უნდა ამოიღოს, ზემოთ არ თქვით, მისმა „ქართუმ“ არნახული მოგება ნახაო.***

– ამ დღეებში შვეიცარიულ მედიაში გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბიძინა ივანიშვილმა 100 მილიონი დოლარი იზარალა. მას ეს თანხა შვეიცარიულ ფარმაცევტულ ბიზნესში ჰქონდა ჩადებული. ამხელა თანხა მას საქართველოში სხვადასხვა საწარმოების გასახსნელად რომ ჩაედო, შემოვიდოდა 100 მილიონი დოლარი და ლარის დევალვაცია არ მოხდებოდა, სამუშაო ადგილები შეიქმნებოდა და თავად ბიძინაც ნახავდა შემოსავალს. სამწუხაროდ, მან ჩვენთვის მოპარული ფული შვეიცარიაში წაიღო და ზარალიც ნახა.

***– რის საფუძველზე ასკვნით, რომ ეს 100 მილიონი საქართველოსთვის მოპარული ფულია?***




## „შემოდგომაზე რუსეთი საქართველოს ანექსიას აპირებს“

– გახსოვთ, თანაინვესტირების ფონდი რომ შეიქმნა და ბიზნესმენებმა 6 მილიარდი რომ შეკრიბეს? ამ ფონდს არც ერთი პროექტი არ განუხორციელებია. ივანიშვილმა ამ ფულს ხელი მოკიდა და ოფშორულ ზონებში გადაიტანა. იმიტომ არის ქვეყანა კატასტროფულ მდგომარეობაში, რომ ივანიშვილისთვის საქართველო არის შპს ანდა „ქართუ ჯგუფი“. ის ქვეყანას უყურებს, როგორც შემოსავლის წყაროს და ცდილობს, ყველაფრიდან ხეირი ნახოს. ამ მიზნის მისაღწევად ის ყველა შავბნელ ძალას შეეკვრება, მათ შორის, რუსეთის სპეცსამსახურებსაც.

***– რაკი რუსეთი ვახსენეთ, იქნებ უფრო კონკრეტულად გვითხრათ, რას გულისხმობდა შალვა ნათელაშვილი, როცა განაცხადა, ამ შემოდგომაზე რუსეთი საქართველოს პოლიტიკურ ანექსიას აპირებსო?***

– ეს განცხადება ჩვენი პარტიის ლიდერმა კონკრეტული ინფორმაციის საფუძველზე გააკეთა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მობილიზებულია რუსეთის სპეცსამსახურები, აქ მოქმედი მეხუთე კოლონა, მოსკოვის მიერ დაფინანსებული არასამთავრობოები, მედია და ექსტრემისტული ჯგუფები. სრულ მზადყოფნაში არიან გამყიდველი მაჟორიტარები და რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენები.

***– რისთვის არიან ისინი მობილიზებული?***

– რისთვის და რუსეთის მარიონეტი ხელისუფლების შესანარჩუნებლად. ხალხი ამათ ხელმეორედ აღარ აირჩევს. ამიტომაც გადაწყვიტეს, რომ არჩევნები ტოტალურად გააყალბონ, რისი ნიშნებიც უკვე სახეზეა. მე კონკრეტული მაგალითების დასახელებაც შემიძლია.

***– დაგვისახელეთ.***

– ხელისუფლების წარმომადგენლები გამოდიან და ურცხვად აცხადებენ, რომ „ქართული ოცნება“ 73-ვე მაჟორიტარულ ოლქს მოიგებს.

***– იქნებ ასე სჯერათ?***

– კი არ სჯერათ, წინასწარ დაიწყეს ხალხის შეგუება, ისინი არჩევნების მოგებას მხოლოდ გაყალბების გზით შეძლებენ. „ქართული ოცნება“ თავიდან ბოლომდეა გაკოტრებული და საქართველოში თქვენ ვერ ნახავთ ადამიანს, რომელიც მათ მხარს უჭერს.

***– ასეთი ადამიანები საკმაოდ მრავლად არიან.***

– მრავლად არ არიან, ქოცებს მხარს მხოლოდ ის ხალხი უჭერს, რომლებიც სამთავრობო სტრუქტურებში მუშაობენ. მათ ათასი რეიტინგული კვლევა მაინც აქვთ ჩატარებული და კარგად იციან ხალხის განწყობა. მოსალოდნელ მარცხს რომ გრძნობენ, ისედაც დრაკონული საარჩევნო კანონი კიდევ უფრო დაამახინჯეს და უარესი გახადეს.

თქვენ რა გგონიათ, გაზპრომის შემოყვანა საქართველოში მარტო ივანიშვილის ეკონომიკურ ინტერესებს უკავშირდება? მოსკოვი ცდილობს, ჩვენი დახმარებით შექმნას ენერგეტიკული კვანძი, რომელიც გავა ირანზე და ირანიდან მთელი ახლო აღმოსავლეთი გაკონტროლდება. ეს იმ დროს ხდება, როცა დასავლეთი მის წინააღმდეგ სანქციებს ხსნის, ივანიშვილის დახმარებით კი რუსეთი საქართველოს გავლით სასიცოცხლო არხს ხსნის.



## „დენსა და გაზზე ტარიფების ზრდა გარდაუვალია“

ახლა მოსკოვს ყველაზე მეტად სჭირდება, რომ საქართველოს სათავეში მარიონეტი ხელისუფლება ჰყავდეს. ივანიშვილზე უკეთეს მთავრობას კი ვერსად იშოვის. ამ კონტექსტში შედის აფხაზეთის რკინიგზის გახსნა.

***– ხელისუფლება ამბობს, რომ მსგავსი არაფერი იგეგმება.***

– ესენი გაზპრომთან მოლაპარაკებებსაც უარყოფდნენ. აფხაზეთის გავლით რკინიგზის გახსნა გადაწყვეტილი ამბავია. ახლა მხოლოდ დროის საკითხია, როდის შემოგვაპარებენ ამ საკითხს. შემოდგომაზე რუსეთი ყველაფერს გააკეთებს, რომ საქართველოს პოლიტიკური ანექსია განახორციელოს. ეს თუ მოხდა, ჩათვალეთ, რომ საქართველო დამოუკიდებლობას დაკარგავს. ამასთან დაკავშირებით ჩვენ უკვე მივმართეთ დასავლეთს და რუსეთს.

***– დასავლეთს გასაგებია, მაგრამ რუსეთს რატომ მიმართეთ?***

– ჩვენ არასდროს დაგვიმალავს, რომ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება გვინდოდა. ჩვენ არასდროს დავთანხმდებით რუსეთთან პატრონყმურ დამოკიდებულებას.

***– რუსეთისგან და დასავლეთისგან რას ითხოვთ?***

– რუსეთს კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებისკენ მოვუწოდებთ, ხოლო დასავლეთს დახმარებას ვთხოვთ. ვთხოვთ, რომ მათ არ დაუშვან საქართველოში არჩევნების გაყალბება და ეს ქვეყანა რუსეთის მიერ მართული მარიონეტის ხახაში არ აღმოჩნდეს.

## ოპოზიციის ლიდერები პრემიერ-მინისტრს შეხვდებიან

საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ინტერპარტიულ ჯგუფში შემავალი არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიების ლიდერები დღეს, 25 იანვარს, პრემიერ-მინისტრს შეხვდებიან.

გიორგი კვირიკაშვილთან ოპოზიციის ლიდერების საუბრის ძირითადი თემა საარჩევნო სისტემის ცვლილება და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხი იქნება.

**ნიუპოსტი**



## ეკა ბესელია: „ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით სერიოზული პროგრესია“

– ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით მაღალი პროგრესია განცდილი იმასთან შედარებით, რაც 3 წლის წინ ქვეყანაში იყო, -– განუცხადა ჟურნალისტებს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ თბილისში, სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“, სადაც ის არასამთავრობო ორგანიზაციებს შეხვდა.

შეხვედრა ადამიანის უფლებათა სამთავრობო გეგმის შესრულებას ეძღვნებოდა, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციებმა საპარლამენტო კომიტეტს წინადადებები გააცნეს.

– ჩვენი ხელისუფლების პრიორიტეტი ადამიანის უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტია. ამ პროექტის მიზანია, საპარლამენტო კომიტეტის მონიტორინგი ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით გაძლიერდეს. ჩვენი მიზანი ისიცაა, პროექტში არასამთავრობო სექტორი აქტიურად მონაწილეობდეს. მისი წარმომადგენლები ძალიან კარგად თანამშრომლობენ. მუდმივი მონიტორინგი გვაქვს იმაზე, თუ როგორ სრულდება გეგმა, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

სამთავრობო გეგმის შესრულებაში 50-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია მონაწილეობს.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გია ჟორჟოლიანი: „პარტია „ქართულ ოცნებასთან“ საარჩევნო ბლოკში გვინდა ყოფნა“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის წევრი და სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გიორგი ჟორჟოლიანი აცხადებს, რომ მისი „ქართული ოცნების“ საარჩევნო ბლოკის სუბიექტად ყოფნა კოალიციაზე არ არის დამოკიდებული.





***– გაჩნდა მოსაზრება, რომ კოალიცია ფართოვდება, მაგრამ პარალელურად გამოითქვა აზრი ლევან ბერძენიშვილის მიერ, რომ თქვენს პარტიას, როგორც ასეთს, არ იცნობს და ვერ მოისაზრებს მის ყოფნას მომავალ კოალიციაში. თქვენ რას პასუხობს მას?***

– ლევან ბერძენიშვილს რა უნდა ვუპასუხო?!

***– როგორ ფიქრობთ, რატომ გამოთქვა ასეთი მოსაზრება?***

– ეს ბერძენიშვილს უნდა ჰკითხოთ. ამასთან დაკავშირებით ზედმეტი აჟიოტაჟია ატეხილი. წესით, არავითარი კოალიცია არჩევნებში არ მონაწილეობს. არჩევნების წინ იქმნება საარჩევნო ბლოკი და არჩევნებამდე 43 დღით ადრე გადის რეგისტრაციას საარჩევნო კომისიაში. ჩვენი პარტიის მიერ დიდი ხანია დაფიქსირებულია „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობის განწყობა. ჩვენ მემორანდუმი გვაქვს დადებული „ქართულ ოცნებასთან“ და, ფაქტობრივად, ვთანამშრომლობთ მთელი რიგი პოლიტიკების შემუშავებაში. ეს არის მთავარი. სხვადასხვა დეპუტატს შეიძლება სხვადასხვა მოსაზრება ჰქონდეს. ეს მათი ნებაა.

***– რესპუბლიკელების აზრს მნიშვნელობა არ ექნება, თუ თქვენი კოალიციაში ყოფნის წინააღმდეგი წავლენ?***

– რის წინააღმდეგი უნდა წავიდნენ?

***– თქვენი კოალიციაში ყოფნის.***

– კოალიცია არჩევნების შემდეგ იქმნება, საარჩევნო ბლოკი კი არჩევნების წინ. საარჩევნო ბლოკი როგორ ჩამოყალიბდება, ამის თაობაზე გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ იმ პარტიებმა, რომლებიც ამას გადაწყვეტენ. მათ შორის, შეიძლება რესპუბლიკელებიც იყვნენ, მრეწველებიც და სხვებიც. თქვენ ფიქრობთ, საარჩევნო ბლოკი იქნება იგივე, რაც არის კოალიცია?

***– ასე არ იქნება?***

– შეიძლება ვინც არიან დღეს კოალიციაში, გაერთიანდნენ ერთ საარჩევნო ბლოკში და მათთან ერთად ჩვენც გავერთიანდეთ, ან ვილაც არ გაერთიანდეს და ჩვენ გავერთიანდეთ. ასე რომ, ვერავითარი აჟიოტაჟის საფუძველს ვერ ვხედავ, მით უმეტეს, დრამატიზებისას.

ჩვენი განწყობაა ბლოკში გაერთიანება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გინდა თუ არა, ეს ასე მოხდება.

***– ამ პროცესში მთავარი რა არის?***

– აქ მთავარი ისაა, რომ 2016 წლის არჩევნები ფუნდამენტურად განსხვავებულია 2012 წლის არჩევნებისაგან, სადაც სხვადასხვა შეხედულების პარტიები გაერთიანდნენ ერთი მიზნის გარშემო, ავტორიტარული და რეპრესიული რეჟიმის წინააღმდეგ. ეს რეჟიმი მთლიანად დამარცხებული არ არის, სისტემას კიდევ სჭირდება ცვლილება. ცხადია, რომ ავტორიტარული და რეპრესიული რეჟიმის ავტორი ვინც იყო, ის პარტია ვერ გაიმარჯვებს.

***– ასე გგონიათ?***

– ეს აშკარაა. ამდენად, ამ არჩევნების ამოცანა არ არის ვილაცის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ არჩევნების ამოცანაა, შედგეს ისეთი უმრავლესობა და ისეთი მთავრობა, რომელსაც ექნება მკაფიო ხედვა, პოზიციები, პლატფორმა, პერსპექტივის მკაფიო სურათი.

ხალხს აინტერესებს, როგორ იცხოვრებს. ამაზე უნდა ვიფიქროთ და თუ ამ საკითხზე ჩამოვყალიბდებით, მაშინ შედგება ასეთი საარჩევნო ბლოკი. განსხვავებული შეხედულებების პარტიები ერთ საარჩევნო ბლოკში არ უნდა იყვნენ.

***– თქვენი „ქართული ოცნების“ საარჩევნო ბლოკში ყოფნის შემთხვევაში კვოტები დაგეთმობათ?***

– ეს არის იმ სუბიექტებს შორის შეთანხმების საგანი, რომლებიც გადაწყვეტენ, რომ ერთ საარჩევნო ბლოკში იყვნენ. როგორიც იქნება ეს შეთანხმება, ისე იქნება.

***– ნაციონალებს იმედი აქვთ, რომ არჩევნებში წარმატებას მიაღწევენ. რისი იმედი აქვთ მათ?***

– ტყუილი იმედი აქვთ.

***– რატომღაც დიდი აჟიოტაჟია ატეხილი „ქართული ოცნების“ სიაზე. ეს იმის მანიშნებელია, რომ არჩევნებზე წამყვანი „ქართული ოცნება“ იქნება? სხვა პარტიების სიებში ვინ იქნება, არავის აინტერესებს.***

– ვინ სხვა პარტიებზე ამბობთ?

***– ახლებზე, თავისუფალ დემოკრატებზე, ნაცმოძრაობაზე, ბურჯანაძის პარტიაზე.***

– მედიის ის წარმომადგენლები, რომლებიც ამაზე მსჯელობენ, ალბათ ფიქრობენ, რომ ყველაზე დიდი ალბათობით უმრავლესობას „ქართული ოცნება“ მოიპოვებს. კარგი იქნება თუ მედია დაინტერესდება იმით, ქვეყნის განვითარების როგორი გეგები გვაქვს. თუ ადამიანებს სხვადასხვა შეხედულებები აქვთ, ეს არ მოგვცემს საშუალებას, ეფექტური პოლიტიკა გავატაროთ და ვუპასუხოთ იმ გამოწვევებს, რომლებიც ქვეყნის წინაშე დგას.

***– თქვენი ბლოკში ყოფნა ძირითადად ვისი გადასაწყვეტია? ვიცით, რომ ბიძინა ივანიშვილი ამ პროცესში აქტიურად მიიღებს მონაწილეობას. ბიძინა ივანიშვილის აზრზე დამოკიდებულია თქვენი ბლოკის სუბიექტად გახდომა?***

– ჩვენი განწყობაა, პარტია „ქართულ ოცნებასთან“ ვიყოთ ბლოკში. რა თქმა უნდა, პარტია „ქართულმა ოცნებამაც“ უნდა გამოთქვას თავისი აზრი. „ქართული ოცნება“ ემზადება ყრილობისთვის, სადაც უნდა აირჩიოს თავმჯდომარე, რის შემდეგაც მკაფიოდ ჩამოაყალიბებს თავის დამოკიდებულებას და აზრს, ვისთან ერთად შეიძლება იყოს ბლოკში. ბატონი ივანიშვილის აზრს, რა თქმა უნდა, გაითვალისწინებენ.

***– ზოგიერთს აღიზიანებს ეს არაფორმალური ლიდერობა.***

– ეს მოცემულობაა, ვინმეს ეს მოსწონს თუ არა. 2012 წელს საქართველოში მოხდა ისტორიული მოვლენა – ავტორიტარული რეპრესიული რეჟიმი არჩევნების საშუალებით დამარცხდა. ეს განახორციელა ქართველმა ხალხმა ბიძინა ივანიშვილის ლიდერობით. მისი ავტორიტეტი ძალიან მაღალია არა მარტო „ქართულ ოცნებაში“, არამედ მთლიანად საზოგადოებაში. ის ავტომატურად აყენებს მას ლიდერის პოზიციაში.

***– თუმცა, უნდათ, რომ ბატონი ივანიშვილი რეალურად მართავდეს ქვეყანას და არა – ფარულად.***

– აქ ფარულად მართვაზე არ არის ლაპარაკი. ლიდერი არ ნიშნავს ფარულად მართვას. ლიდერი ნიშნავს, რომ მის აზრს ითვალისწინებენ.

# სოსო ცინცაძე: „თინა ხიდაშელი თვლის, რომ საქართველოს მარგარეტ ტეტჩერია“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ პარტიების მიერ საარჩევნო სიებში ადგილების მოთხოვნა ერთ-ერთი მთავარი დაპირისპირების საფუძველი იქნება კოალიციაში.





**სოსო ცინცაძე:**

– კვოტების ომი გარდაუვალია, მაგრამ ის დერეფნებს არ გამოსცდება. მთელი უბედურება ის არის, რომ ორკაციანი პარტიის თავმჯდომარეები არ ფიქრობენ, რომ 15 ადგილი რომ მისცენ, ვისით დააკომპლექტებენ, ვის შეიყვანენ სიაში? ჰყავთ კი ამდენი პროფესიონალი? არჩევნებში კენედიმ რომ გაიმარჯვა, თავს იმტვრევდა, 100 კარგი სპეციალისტი საიდან მოეყვანა.

***– შეიძლება პარტიების რეიტინგების მიხედვით გადაწყდეს, ვის რამდენი ადგილი ერგება?***

– ეს გამორიცხულია, რადგან კოალიციაში არც ერთ პარტიას ხალხში მაღალი რეიტინგი არ აქვს, გარდა „ქართულ ოცნებისა“, ამ შემთხვევაში მე ივანიშვილის რეიტინგს ვგულისხმობ და არა – პარტიის რეიტინგს. შიდა პრაიმერიზი, რეიტინგების მიხედვით ადგილების მოთხოვნა და ა.შ. არის ხარაკირი და ეს ამ პარტიებმა მშვენივრად იციან. თავის დროზე, კოალიციის შექმნის პროცესში ივანიშვილმა შეცდომა დაუშვა.

***– რა შეცდომა?***

– ამ ეკლექტურმა კოალიციამ სიცოცხლის რესურსი 2012 წლის არჩევნების გამარჯვების მეორე დღესვე ამოწურა.

***– უნდა დაშლილიყო?***

– რასაკვირველია. ამ კოალიციამ თავისი მიზანი შეასრულა დიდი წარმატებით. ამ მისიის შესრულების შემდეგ, ამ პარტიებისთვის ივანიშვილს მადლობა უნდა გადაეხადა და ერთმანეთს მშვიდად უნდა დამშვიდობებოდნენ. ეს პარტიები იქნებოდნენ პარლამენტში წარმოდგენილები, მაგრამ მთავრობაში ამ პარტიებიდან მინისტრებს არაფერი ესაქმებოდათ. მაშინ საჭირო იყო ტექნიკური მთავრობა.

***– რატომ, უფრო დემოკრატიული არ არის კოალიციური მთავრობა, სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული?***

– რასაკვირველია, არის, მაგრამ ჩვენ აქამდე ჯერ კიდევ შორს ვართ.

***– სოციალ-დემოკრატებითა და მწვანეებით გაფართოვდება კოალიცია. ამ გადაწყვეტილებაზე რას იტყვით?***

– წავიკითხე, რომ სოციალ-დემოკრატები ევროპაში ძალიან ძლიერია და ამიტომ უფრო ძლიერად უნდა იყვნენ წარმოდგენილები კოალიციაშიო. ამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, დღეს ევროპარლამენტში ყველაზე ძლიერი სახალხო პარტიაა და კობა დავითაშვილმა 40 ადგილიანი კვოტა უნდა მიიღოს. მე არავითარი საწინააღმდეგო არ მაქვს სოციალ-დემოკრატების, ბატონი ჟორჟოლიანის, მაგრამ მე ლოგიკაზე ვსაუბრობ ამ შემთხვევაში.

***– ლოგიკური გადაწყვეტილება რა იქნებოდა ივანიშვილის მხრიდან?***

– ამ ბალასტისგან განთავისუფლება, მაგრამ ეშინია, რადგან სათადარიგო სკამი აღარ აქვს, ეს სკამი ძალიან მოკლეა. დღეს ყველა ობიექტური მონაცემი აიძულებს ივანიშვილს, რომ საერთო ენა გამონახოს არასაპარლამენტო ოპოზიციასთან, ნინო ბურჯანაძესთან, ირმა ინაშვილთან.

***– ირმა ინაშვილს, ნინო ბურჯანაძეს ბიძინა ივანიშვილი ყოველთვის ლოიალურად მოიხსენიებდა, მაგრამ საგარეჯოს შუალედური არჩევნების შემდეგ ინაშვილი მკვეთრად დაუპირისპირდა „ოცნებას“ და ასევე მკვეთრად უპირისპირდება ბურჯანაძეც. არის მათ შორის მოლაპარაკების შანსი?***

– ეს გამორიცხულია. დღეს რესპუბლიკური პარტია არის კოალიციის მმართველი ძალა, მისი რეალური ლიდერი კი თინა ხიდაშელია. თინა ხიდაშელი თვლის, რომ საქართველოს მარგარეტ ტეტჩერია, ნომერ პირველი ქალი პოლიტიკოსი. ამიტომ ის მეორე ძლიერ ქალ პოლიტიკოსს ვერ აიტანს. ვერ აიტანს ვერც ბურჯანაძეს და ვერც ინაშვილს. ხიდაშელი ნებისმიერი მამაკაცი პოლიტიკოსისგან აიტანს კონკურენციას, მაგრამ არა – ქალი პოლიტიკოსისგან.

## თბილისის საკრებულოს დელეგაცია ოფიციალური ვიზიტით აშშ გაემგზავრა

თბილისის საკრებულოს დელეგაცია, საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი ალიბეგაშვილის ხელმძღვანელობით, ოფიციალური ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა.

საკრებულოს პრესსამსახურის ინფორმაციით, დელეგაცია დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატებისა და თბილისის მერის მოადგილის ნინა ხატისკაცის შემადგენლობით შეხვედრებს 25-29 იანვარს აშშ-ს სამ ქალაქში – ვაშინგტონში, ნიუ იორკისა და ატლანტაში გამართავს და ვაშინგტონის შტატის სახელმწიფო მდივანს ლაურენ ვაუგანს, მერიის სხვადასხვა დეპარტამენტების ხელმძღვანელებს, ასევე იუსაიდისა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებს შეხვდება.

ვიზიტის ფარგლებში, თბილისის დელეგაცია თვითმმართველობის როლის, საქმიანობისა და პრაქტიკული გამოცდილების კუთხით ამერიკული მხარისგან რეკომენდაციებსა და ხედვებს მოისმენს.

შეხვედრებზე მხარეები ქალაქის ურბანული დაგეგმარების მიმართულებით გასატარებელ ღონისძიებებსა და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საკითხებს განიხილავენ. ამასთან, გაეცნობიან ქალაქში პარკებისა და რეკრეაციული ზონების განვითარების, ავტოსადგომების მოწესრიგების, საცობებთან ბრძოლის, ასევე სპორტის განვითარების ხელშეწყობისა და ახალგაზრდების განათლების მიმართულებით აშშ-ში არსებულ გამოცდილებას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში საკრებულოს დელეგაციის ვიზიტი 29 იანვარს დასრულდება.

**ინტერპრესნიუსი**

## საქართველოში ბელორუსის საელჩო გაიხსნება

წელს საქართველოში ბელორუსის საელჩო გაიხსნება. ადგილობრივი მედიის თანახმად, მინისტრთა საბჭომ შესაბამისი განკარგულება მიიღო. დოკუმენტი ავალდებულებს ბელორუსის ფინანსთა სამინისტროს, დიპლომატიური მისიის გახსნასთან დაკავშირებული ხარჯები დააფინანსოს.

ადგილობრივი მედია აღნიშნავს, რომ საქართველოში ბელორუსის საელჩოს გახსნის შესახებ პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ 2015 წელს, საქართველოში ვიზიტისას ისაუბრა.

ბელორუსში საქართველოს საელჩო 2007 წლიდან მოქმედებს.

**ინტერპრესნიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# სირიაში ხვიჩა გობაძე დაიღუპა

შორენა მარსაგიშვილი

სირიაში გასულ კვირას საქართველოს 3 მოქალაქე დაიღუპა. კვირის დასაწყისში საბრძოლო მოქმედებების შედეგად 24 წლის რამზან ფარეულიძე და 22 წლის მუხმად თურქოშვილი დაიღუპნენ. გუშინ, 24 იანვარს კი ყველა ჩვენგანისთვის კარგად ნაცნობი ხვიჩა გაბოძის გარდაცვალების შესახებ გავრცელდა ინფორმაცია.

ხვიჩა გობაძე 27 წლის იყო.

ამ ახალგაზრდის შესახებ საზოგადოებამ გასული წლის ნოემბერში შეიტყო. მან 3 ახალგაზრდასთან ერთად 2 ვიდეო მიმართვა გაავრცელა. გაბოძეს ისლამურ სახელმწიფოში აბუ მარიამ ალ-ჯურჯის სახელით იცნობდნენ.

ინფორმაცია მისი დაღუპვის შესახებ პირველად მისი მეუღლის, სალი ქათამაძის მიერ ფეისბუქში გამოქვეყნებული სტატუსის შედეგად გავრცელდა.

– საუკუნოდ მემახსოვრები და მეყვარები სულ ყველაზე მეტად! ჩემი ერთადერთი და ჩემი ყველაფერი შენ იყავი, ხარ და იქნები! დაველოდები იმ დღეს, როცა სამოთხეში შეგხვდები და გადაგეხვევი! ძალიააან ძალიაააან მიყვარხააარ მეც და ჩვენს პატარასაც.

ტკივილს, რომელიც შენი წასვლით დამიტოვე, ვერავინ და ვერაფერი გამინელებს და სიყვარულს, რომელიც შენს მიმართ მაქვს, ვერავინ შემიცვლის, ისევე წამოვიღებ ჩემს სიყვარულს შენთან, როგორც შენ წაიღე ჩემი...ინ შაა ალლაჰ სამოთხეში შევხვდებით ერთმანეთს, იქ,



სადაც ვიცი, მელოდები! მიყვარხარ, – წერს სალი ქათამაძე.

ხვიჩა გობაძის მეუღლის მიერ სტატუსიდან ირკვევა, რომ სირიაში კიდევ ერთი მებრძოლი დაიღუპა.

– არ ვიცით როგორ შევძლებთ თქვენს გარეშე ცხოვრებას! თქვენ ჩვენი ცხოვრების ყველაზე ახლო ადამიანებად დარჩებით მუდამ!! ალლაჰმა მიიღოს თქვენი შაჰიდობა! ნატა დაიკოო ყველაზე მეტად შენ გესმის ჩემი, ალლაჰმა გაგვაძლიეროს! – წერს ქათამაძე.

## ამ ფაქტს სუს-იც ადასტურებს




ინფორმაციას გობაძის გარდაცვალების შესახებ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ოფიციალურად ადასტურებენ. ამასთან მათთვის უცნობია, რა ვითარებაში დაიღუპა გობაძე.

◆ ◆ ◆

როგორც მისი ახლობლები ამბობენ, ხვიჩა გაბოძე სირიაში გასული წლის სექტემბერში გაემგზავრა. ვაჰაბიზმის მიმდევარი კი გაცილებით ადრე გახდა.

მან სკოლა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ დიდ აჭარაში დაამთავრა. რის შემდეგაც სწავლა ბათუმში მდებარე მედრესეში განაგრძო.

მისი ახლობლების განმარტებით, გობაძე ბათუმიდან ეგვიპტეში გაემგზავრა სასწავლებლად, სადაც არაბულს დაეუფლა.

გობაძეები პარლამენტის ვიცე-სპიკერ მურმან დუმბაძის მეზობლები არიან. როგორც დეპუტატმა „ახალ თაობასთან" საუბარში აღნიშნა, ის მათ იცნობს, ოღონდ შორიდან.

როგორც მისი თანასოფლელები ყვებიან, გარდაცვლილს მამასთან ერთად ხშირად იბარებდნენ პოლიციაში დაკითხვაზე. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ისინი ვაჰაბიზმის მიმდევრები იყვნენ.

გასული წლის ნოემბერში აბუ მარიამ ალ-ჯურჯის სახელით გობაძემ ქართველ ახალგაზრდა მუსლიმებს მოუწოდა, რომ ისლამურ სახელმწიფოს შეერთებოდნენ:

– გამოფხიზლდით და ჭეშმარიტება დაინახეთ სანამ ჯერ კიდევ გვიანი არ არის, სანამ ცოცხლები ხართ და შეგიძლიათ გააკეთოთ (ბაიათი), მორჩილება გამოუცხადეთ ხალიფს და არ მოკვდეთ, როგორც ჯაჰილები, ალლაჰის წინაშე როცა წარსდგებით, თავის გასამართლებელი საბუთი აღარ გექნებათ, ალლაჰი ხომ გასმენთ და განახებთ, რომ დღეს არსებობს ისლამური სახელმწიფო და შარიათი, – ასეთი იყო ის მიმართვა.

◆ ◆ ◆

ამ დროისთვის უცნობია, რამდენი ადამიანია საქართველოდან სირიაში წასული. ძირითადი ყურადღება პანკისელებზე მახვილდება, მაგრამ იქ საქართველოს სხვა რეგიონებიდანაც მიდიან.

ამ მხრივ ყველაზე აქტიური აჭარა და ქვემო ქართლია.

# „ალფა" ავღანეთიდან სამშობლოში დაბრუნდა

III ქვეითი ბრიგადის 130 სამხედრო მოსამსახურე უკვე სამშობლოშია. თავდაცვის სამინისტროს ცნობით, 32-ე ბატალიონის „ალფა" ასეულის სამხედრო მოსამსახურეები ავღანეთიდან გუშინ საღამოს დაბრუნდნენ. სამხედრო მოსამსახურეებს სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება თავდაცვის მინისტრის მოადგილეებმა ანა დოლიძემ და დავით ებრალიძემ მიულოცეს.

– მშვიდობიანად ჩამოგვივიდა მესამე ბრიგადის ასეული. დიდი მადლობა გადავუხადეთ სამხედრო მოსამსახურეებს ქვეყნის სამსახურისთვის. მთავარი არის, რომ ყველა მათგანი ჯანმრთელი ჩამოვიდა, – განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ებრალიძემ.

აეროპორტში ქართველ სამხედროებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი ნიკა აგლაძე და სხვა მაღალი რანგის სამხედრო მოსამსახურეებიც დახვდნენ.

– მაზარ-ი-შარიფიდან დაგვიბრუნდა მესამე ბრიგადის 32-ე ბატალიონის ასეული, რომელიც ასრულებდა სწრაფი რეაგირების ჯგუფის ამოცანებს გერმანული კონტინგენტის შემადგენლობაში. 130 სამხედრო მოსამსახურე მშვიდობით დაგვიბრუნდა, – განაცხადა პოლკოვნიკმა ნიკოლოზ აგლაძემ.

ქართველი ჯარისკაცები ავღანეთში, მაზარ-ი-შარიფში ბაზა მარმალზე, გერმანული სარდლობის დაქვემდებარებაში სამშვიდობო მისიას შვიდი თვის განმავლობაში ასრულებდნენ.

III ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონის „ალფა" ასეული იმავე დანაყოფის „ბრავო" ასეულმა ჩაანაცვლა.

**ინტერპრესნიუსი**




# არასამთავრობოების ნაწილმა სპეცუბნები დაათვალიერა



თავდაცვის სამინისტროს ინიციატივით, გარდაბნის გამგებლის რიგგარეშე არჩევნებზე დამკვირვებლად დარეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები იმ სამხედრო ქვედანაყოფებს ესტუმრნენ, რომელთა სამხედრო მოსამსახურეების ნაწილი 28 იანვარს, სპეციალურ უბანზე მისცემს ხმას.

თავდაცვის სამინისტროს ცნობით, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები საარჩევნო უბანზე არსებულ ვითარებას ადგილზე გაეცნენ. მათ შეკითხვებს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ბესიკ ლოლაძემ და შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმა უპასუხეს.

თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა პირებმა სტუმრებს მოგვიანებით I საარტილერიო ბაზისა და IV მექანიზირებული ბრიგადის ტერიტორიაზე განთავსებული სამხედრო ტექნიკა დაათვალიერებინეს და ჯარისკაცის ულუფითაც გაუმასპინძლდნენ.

– არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ, არსებულ მდგომარეობას ადგილზე გაცნობოდნენ. ჩვენი შეთავაზება ბევრმა ორგანიზაციამ მიიღო. სამწუხაროდ, ორგანიზაციების ნაწილი მას არ დათანხმდა და კანონმდებლობაში ცვლილებების საკითხი დასვა. აღსანიშნავია, რომ თავდაცვის სამინისტროდან ორი დღის წინ გაიგზავნა კანონპროექტი, რომელიც შემუშავდა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის შექმნილი ჯგუფის მიერ – იუსტიციის, შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროების, სხვა უწყებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით. ამ კანონპროექტის საშუალებით ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა გადაიჭრება. ერთი მხრივ, სამხედრო მოსამსახურეებს ექნებათ საშუალება, განახორციელონ საარჩევნო უფლების რეალიზაცია ახლომდებარე საარჩევნო უბნებზე და მეორე მხრივ, სამხედრო ნაწილებსა თუ სხვა ქვედანაყოფებში აღარ შეიქმნება სპეციალური საარჩევნო უბნები, – განაცხადა არასამთავრობოებთან შეხვედრის შემდეგ ბესიკ ლოლაძემ.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დისლოცირებულია საქართველოს შეიარაღებული ძალების დიდი და მრავალრიცხოვანი სამხედრო ქვედანაყოფები. სპეციალური საარჩევნო უბანი შექმნილია I საარტილერიო ბრიგადაში, ხოლო ალგეთში დისლოცირებული „ეროვნულ სასწავლო ცენტრ კრწანისისა" და ზაზა ფერაძის სახელობის საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრის სამხედრო მოსამსახურეები ხმას ახლომდებარე საარჩევნო უბანზე მისცემენ.

აღნიშნული ქვედანაყოფების მეთაურების მიერ, საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, სპეციალურ საარჩევნო სიებში შეყვანილნი არიან შემდეგი კატეგორიის სამხედრო მოსამსახურეები: 1. სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც არჩევნების დღისთვის მუდმივად არიან დისლოცირებულები 1 წლით ან 1 წელზე მეტი ვადით; 2. სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც დისლოცირებულნი არიან 1 წელზე ნაკლები ვადით, მაგრამ ადგილობრივ მაცხოვრებლებს წარმოადგენენ, რეგისტრირებულები არიან გარდაბნის მუნიციპალიტეტში.

– სპეციალური საარჩევნო უბანი გარდაბნის საოლქო საარჩევნო კომისიამ შექმნა. საარჩევნო უბნების შექმნა ან ამ პროცესში მონაწილეობა თავდაცვის სამინისტროს კომპეტენციას არ წარმოადგენს. სამინისტროს მიზანია, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი არჩევნების გამჭვირვალედ და ობიექტურად ჩატარებას, ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლენას, – აღნიშნულია თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

**ინტერპრესნიუსი**

# არასამთავრობოები ხიდაშელის შეთავაზებაზე უარს ამბობენ

**არასამთავრობო ორგანიზაციები, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება", საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" უარს აცხადებენ თავდაცვის სამინისტროს შემოთავაზებაზე, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე მოინახულონ სპეციალური საარჩევნო უბანი, რომელიც სამხედრო მოსამსახურეებისთვის გარდაბნის გამგებლის 28 იანვრის რიგგარეშე არჩევნებისთვის შეიქმნა.**

– მიგვაჩნია, რომ სამხედრო ბაზის მონახულება ვერ გადაჭრის იმ პრობლემას, რისი მოგვარებაც მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებების გზით არის შესაძლებელი. შეგახსენებთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ვეწინააღმდეგებით საარჩევნო კოდექსის არსებულ რედაქციას, რომლის თანახმადაც, სამხედრო მოსამსახურეებს უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი თვითმმართველობის (გამგებელი/მერი, საკრებულო), ასევე, პარლამენტის მაჟორიტარულ არჩევნებში მაშინაც კი, თუკი ისინი რეგისტრირებულნი არ არიან აღნიშნულ საარჩევნო ოლქში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნებში საქართველოს მოქალაქეები მონაწილეობას მხოლოდ იმ საარჩევნო ოლქებში იღებენ, სადაც ისინი რეგისტრირებულნი არიან. შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეებისთვის აღნიშნული პრივილეგიის ჩამორთმევა იქნება მათი უფლებრივი გათანაბრება საქართველოს მოქალაქეებთან და არამც და არამც მათ ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა.

გარდა აღნიშნულისა, ვფიქრობთ, რომ სამხედრო მოსამსახურეებისათვის უფლების მინიჭება, აირჩიონ იმ მუნიციპალიტეტის მერი, ან მაჟორიტარი, სადაც ისინი არ არიან რეგისტრირებულნი, არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვის ან არჩევნების შედეგების მანიპულირების საფრთხის შემცველია. მით უფრო ისეთ ვითარებაში, როდესაც საარჩევნო ადმინისტრაცია სრულიად იხსნის უფლებას და პასუხისმგებლობას, შეამოწმოს, სამხედრო დანაყოფის მიერ გადმოცემული სამხედრო მოსამსახურეთა სია აკმაყოფილებს თუ არა საარჩევნო კოდექსით დადგენილ კრიტერიუმს (რომ თვითმმართველობის არჩევნებში მოსამსახურე დისლოცირებული უნდა იყოს სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე 1 ან მეტი წლის ვადით). ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სამხედრო მოსამსახურეებისთვის საქართველოს სხვა მოქალაქეებისგან განსხვავებით გამონაკლისი პრივილეგიის მინიჭება, მონაწილეობა მიიღონ გამგებლის არჩევნებში იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღნიშნული ოლქის რეგისტრირებული ამომრჩევლები არ არიან, სხვა მხრივაც გაუმართლებელია. კერძოდ, საარჩევნო ოლქში გამგებლის არჩევნების შედეგებს, როგორც ერთის მხრივ სამხედრო მოსამსახურეზე, ასევე, მეორე მხრივ, სხვა საარჩევნო ოლქის ამომრჩევლის უფლებრივ მდგომარეობაზე არანაირი ეფექტი არ გააჩნია. სამხედრო სამსახური მკვეთრად ცენტრალიზებულია, შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის გავლენა სამხედრო მოსამსახურის უფლებრივ თუ ფაქტობრივ მდგომარეობაზე ძალიან პირობითია.

კატეგორიულად არ ვიზიარებთ თავდაცვის მინისტრის განცხადებას, რომლის შეფასებითაც, არასამთავრობო ორგანიზაციებს და პოლიტიკურ ძალებს სურთ სამხედრო მოსამსახურეებს „ხმის უფლება ჩამოართვან".

ჩვენი ინიციატივა გულისხმობს სამხედრო მოსამსახურეების საარჩევნო უფლების გათანაბრებას საქართველოს დანარჩენ მოქალაქეებთან და მათთვის პარლამენტის პროპორციული წესით ჩატარებულ არჩევნებში, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის მიღების უფლების შენარჩუნებას. ინიციატივა, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოს პარლამენტს მომავალ კვირას შევთავაზებთ, საქართველოს სხვა მოქალაქეების მსგავსად, სამხედრო მოსამსახურეებისთვის ადგილობრივი თვითმმართველობისა და პარლამენტის მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობას მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს, თუ ისინი დისლოცირებულნი იქნებიან მათი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით სარჩევნო ოლქში, – ნათქვამია არასამთავრობოთა განცხადებაში.

**ნიუპოსტი**

# რუსული მედია ღორის გრიპის გავრცელებაში საქართველოში მოქმედ ლაბორატორიას ადანაშაულებს

მარიამ მჭედლიშვილი

**„ახალი თაობა“ წერდა რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების ახალ სტრატეგიაზე. მასში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ბიოლოგიურ იარაღს, რომელიც, შესაძლოა, რუსეთის წინააღმდეგ გამოიყენონ.**

**უკრაინული მედია წერდა, რომ იმ ბიოლოგიურ ობიექტებში, რომელთა მომრავლებასაც თავის საზღვრებთან რუსეთი აპროტესტებს, უკრაინულ და ყაზახურთან ერთად, იგულისხმება აშშ-ს მიერ შექმნილი ლაბორატორია საქართველოში.**

ღორის გრიპის გავრცელებამ რუსეთს ე.წ. ლუგარის ლაბორატორია კიდევ ერთხელ გაახსენა. თბილისში მოქმედი ეს ობიექტი რუსულმა წყაროებმა პირდაპირ დაადანაშაულეს ვირუსების ხელოვნურად გავრცელებაში არა მარტო საქართველოში, არამედ მეზობელ სახელმწიფოებშიც. თბილისმა ეს ბრალდება უარყო.

– ღორის გრიპის აფეთქებამ მოსაზღვრე სომხეთში და ათი ადამიანის გარდაცვალებამ გააჩინა ეჭვები, რომ ვირუსი ხელოვნურად ვრცელდება ამ ლაბორატორიის მონაწილეობით, – აღნიშნავს რეგნუმი.

რუსული მედიასაშუალების ეჭვს იწვევს ისიც, რომ ამ ვირუსისაგან გარდაცვლილი საქართველოს სამივე მოქალაქე ერთი კუთხიდან – დასავლეთ საქართველოდან იყო.

საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი, რომლის დაქვემდებარებაშიც იმყოფება ლუგარის ლაბორატორია, კატეგორიულად უარყოფს ამ ობიექტზე ბაქტერიოლოგიურ იარაღთან დაკავშირებულ ცდებს და ამტკიცებს, რომ ეს დაწესებულება მხოლოდ მშვიდობიან კვლევებს ატარებს. მათი მიზანია იმ პათოგენების დროული დიაგნოსტიკა და იდენტიფიცირება, რომლებიც იწვევს საშიშ დაავადებებს ადამიანებსა და ცხოველებში.

ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ოფიციალური ისტორია, რეგნუმის ცნობით, იწყება 1997 წელს. მაშინ აშშ-სა და საქართველოს შორის გაფორმდა ჩარჩო ხელშეკრულება ნანისა და ლუგარის ინიციატივის ფარგლებში. 2002 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტს შორის შეთანხმება თანამშრომლობაზე იმ ტექნოლოგიებისა და პათოგენების გავრცელების აღკვეთის თაობაზე, რომელიც უკავშირდება ბიოლოგიური იარაღის განვითარებას. 2004 წელს გადაწყდა საქართველოში ახალი ლაბორატორიის მშენებლობა. 2011 წელს ცენტრს იურიდიული სტატუსი მიანიჭეს. 2013 წელს იგი ქართულ მხარეს გადმოეცა. 2018 წლამდე ლაბორატორიის დაფინანსებასა და ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობა იკისრა საქართველოს მთავრობამ. აშშ-ს ამ ობიექტში 350 მილიონი აშშ დოლარი აქვს დაბანდებული.






## პაატა იმნაძე: „ლუგარის ცენტრს საქართველოსა და სომხეთში გავრცელებულ დაავადებებთან არანაირი კავშირი არ აქვს“

ლუგარის ქსელში არაერთი ლაბორატორია საქმიანობს. სამი მათგანი აკრედიტებულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში. ისინი ატარებენ კვლევებს პოლიომიელიტზე, გრიპებზე, წითურასა და წითელაზე. კიდევ ოთხი ლაბორატორია მენინგიტზე, სალმონელოზსა და სხვა დაავადებებზე ატარებს კვლევებს.

რეგნუმი აღნიშნავს, რომ საქართველოში 90-იანი წლებიდან ეტაპობრივად ხდებოდა ადამიანისა და ცხოველის ამა თუ იმ დაავადების აფეთქება. მათ შორის, ადამიანები და ცხოველები დასნეულდნენ ახალი ავადმყოფობებით – ღორის ჭირით, ქათმის, ღორის გრიპებით.

მედიასაშუალება არ გამორიცხავს, რომ ამ დაავადებებზე სწორი დიაგნოზების დასმა ლუგარის ლაბორატორიის დამსახურებაა.

ამასთან, რეგნუმს მოჰყავს ჟურნალისტ ჯეფრი სილვერმანის ინფორმაცია, რომელიც მან ადრინდელ ინტერვიუებში გაახმიანა. სილვერმანის თქმით, თბილისის ლაბორატორია აშშ-ს იმისთვის დასჭირდა, რომ თავი აერიდებინა კონვენციისათვის ბიოლოგიური იარაღის აკრძალვის თაობაზე. ჟურნალისტმა და სააკაშვილის ყოფილმა მრჩეველმა დაადასტურა, რომ ამ ლაბორატორიაში გამომუშავებული ვირუსები შეიძლება სხვა ქვეყნებშიც გაიგზავნოს. სწორედ ამის გამო ლაბორატორია აეროპორტთან მდებარეობს.

რეგნუმის თქმით, საქართველოს მოსახლეობაში არსებობს ეჭვი, რომ ალექსეევკაში გამოყვანილ ვირუსებს ადგილობრივ მოსახლეობაზეც ცდიან ვირუსების პატარა პორციების გავრცელების გზით.

საქართველოს დაავადებათა ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე პაატა იმნაძე ამას უარყოფს. მისი თქმით, ლაბორატორიაში მუშაობენ პროფესიონალები აშშ-დან, რუსეთიდან, გერმანიიდან, თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან. მათი მიზნები მშვიდობიანია.

პაატა იმნაძე აღნიშნავს, რომ ამ ცენტრს არანაირი კავშირი არა აქვს სომხეთში და საქართველოში გრიპის გავრცელებასთან. სომხეთში ამას მასშტაბური ხასიათი ჰქონდა. იქ გრიპი ბევრად ადრე გავრცელდა, ვიდრე საქართველოში.

# მეჭიაურს ჰომოფობიურ და არმენოფობიურ განწყობაში ადანაშაულებენ

**სამოქალაქო პლატფორმის „არა ფობიას!“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, თამაზ მეჭიაურის მიერ „გამოვლენილ ფიზიკურ ძალადობასა და ქსენოფობიურ გამოხატვაზე“ განცხადებას ავრცელებს. „მედიანიუსი“ მას უცვლელად გთავაზობთ:**

– სამოქალაქო პლატფორმის „არა ფობიას!“ წევრი არასამთავრობო ორგანიზაციები ვგმობთ საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის თამაზ მეჭიაურის ძალადობრივ ქმედებას და მის მიერ გამოვლენილ არმენოფობიურ დამოკიდებულებებს. მიგვაჩნია, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს აქვთ მაღალი თმენის ვალდებულება ნებისმიერი საზოგადოებრივი პროტესტის მშვიდობიანი ფორმის მიმართ, ხოლო მათი საჯარო შეფასებები საზოგადოებრივი ინტერესის საგანია, რაც აკისრებთ პასუხისმგებლობას, თავი შეიკავონ ნებისმიერი ისეთი გამოხატვისაგან, რომელიც შეიცავს ქსენოფობიურ შინაარსს.

2016 წლის 21 იანვარს, თბილისში, პარლამენტის ყოფილ შენობასთან გამართულ აქციაზე შეკრებილი მოქალაქეები მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვასთან დაკავშირებულ კანონპროექტს აპროტესტებდნენ. მედიით გავრცელებული ინფორმაციით, შენობასთან მისულ თამაზ მეჭიაურს მონაწილეები სტვენითა და შეძახილებით შეხვდნენ. აქციის ერთ-ერთ მონაწილეს არტურ არუთინოვს აღნიშნულის გამო დეპუტატმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. აღნიშნული ფაქტი ნათლად ჩანს გავრცელებულ ვიდეოჩანაწერში.

არანაკლებ საგანგაშოა ინციდენტის შემდეგ ბატონი მეჭიაურის მიერ გაკეთებული კომენტარი, სადაც ეს უკანასკნელი ავლენს არმენოფობიურ დამოკიდებულებას და აცხადებს: „არ ვიცოდი, ბატონი არტური თუ იყო, თორე . . . რომ მცოდნოდა, ვინ იყო, შეიძლება უფრო მაგრად...“



აღსანიშნავია, რომ თამაზ მეჭიაური თავის გამოსვლებსა და განცხადებებში გამოირჩევა დისკრიმინაციული, მათ შორის, ჰომოფობიური და არმენოფობიური გამონათქვამებით, ასევე, მიუღებელია მისი დამოკიდებულება არასამთავრობო სექტორის მიმართ, როდესაც ის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს „ენჯეოელ სოროსელებად“ მოიხსენიებს.

სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გახშირდა ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან სიძულვილის ენის გამომჟღავნება საზოგადოების კონკრეტული ჯგუფის მიმართ. აღნიშნულზე უთითებს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევებიც. მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ მმართველი პარტიის წარმომადგენელთა მხრიდან ხშირია ანტიდასავლური, ჰომოფობიური და სიძულვილის ენის გამომხატველი განცხადებები.

ამავდროულად უკანასკნელ ხანებში სახელმწიფოს მხრიდან არაეფექტური რეაგირების ფონზე, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით მკაცრად უნდა გაიწეროს დისციპლინური პასუხისმგებლობის მექანიზმები პარლამენტის წევრების თუ საჯარო მოხელეების მხრიდან დისკრიმინაციულ განცხადებებზე. ასევე, პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა შეიმუშაონ თვითრეგულირების მექანიზმები, რომლებითაც მოხდება შიდა რეაგირება მათი ცალკეული წევრების მხრიდან სიძულვილის ენის, ქსენოფობიის და სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციული რიტორიკის გამოვლინებებზე.

ხელისუფლების წარმომადგენელთა ვალია, საკუთარი განცხადებებით საზოგადოებას სხვადასხვა ეთნიკური თუ კონფესიური ჯგუფის პატივისცემისკენ მოუწოდებდნენ. ამის საპირისპიროდ ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან სიძულვილით აღსავსე დამოკიდებულებების გამომჟღავნება ქმნის წამახალისებელ ეფექტს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისათვის და აბრკოლებს პლურალიზმზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბების შესაძლებლობას“, – ნათქვამია განცხადებაში.

განცხადებას ხელს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია აწერს.

◆ ◆ ◆

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაური იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს პასუხობს, რომლებმაც განცხადება გაავრცელეს „თამაზ მეჭიაურის მიერ გამოვლენილ ფიზიკურ ძალადობასა და ქსენოფობიურ გამოხატვაზე“.

უმრავლესობის დეპუტატი ირწმუნება, რომ მას ქსენოფობიური განცხადებები არ გაუკეთებია.

მეტიც, მეჭიაურმა არასამთავრობოთა ნაწილის მისამართით თქვა, რომ მათი ნაწილი ქვეყნისთვის არასასარგებლო ინტერესების გატარებაში შეიმჩნევიან.

– ეს არის მცდელობა სხვადასხვა არასამთავრობოების, რომლებიც შეიმჩნევიან ქვეყნისთვის არც თუ ისე სასარგებლო ინტერესების გატარებაში. იქაც კი, სადაც არანაირი მტკიცებულება არ გააჩნიათ, ცდილობენ მოახდინონ დაპირისპირება სხვადასხვა ეროვნებებს თუ ეთნიკურ ჯგუფებს შორის. ასევე სხვადასხვა აღმსარებლობის ჩვენს მოქალაქეებს შორის. ეს არის, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან ცუდი საქციელი. არანაირი ჰომოფობიური განცხადება არ ყოფილა, – აღნიშნა მეჭიაურმა.

**მედიანიუსი**

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

**ეკონომიკა**

# „2015 წელს საგარეო ვაჭრობა 13%-ით შემცირდა“

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დეპუტატ ზურაბ მელიქიშვილის განცხადებით, საგარეო ვაჭრობა 13%-ითაა შემცირებული, ექსპორტი კი – 23%-ით.

– ხელისუფლება მუდმივად გვერდს უვლის იმ რეალურ მიზეზებს, რაც ეკონომიკას ამცირებს და ლარს აუფასურებს, შემდეგ კი ეს ყველაფერი მძიმე ტვირთად აწვება საქართველოს მოსახლეობას.

საქსტატის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით, საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებით, ვხედავთ, რომ სავალალო მდგომარეობა გვაქვს, რადგან ვაჭრობა დაახლოებით 13%-ითაა შემცირებული, მათ შორის, ექსპორტი შემცირებულია 23%-ით, ნომინალში გამოხატული კი ესაა – 657 მილიონი დოლარი. ანუ, ესაა ის თანხები, რომელიც ქართულ ბაზარს შიდა მოხმარებისთვის დააკლდა და რაც პირდაპირ ურტყამს ლარის გაუფასურებას.

ექსპორტთან ერთად, 10%-ით შემცირებულია იმპორტი, რაც სამუშაო ადგილების შემცირებას ურტყამს.

მნიშვნელოვანია ის, თუ რომელი ქვეყნების მიმართულებით შემცირდა ექსპორტი – აზერბაიჯანში თითქმის განახევრებულია ექსპორტის რაოდენობა. ეს მნიშვნელოვანია, რადგან მიუთითებს იმაზე, რომ მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი და აქედან მიღებული შემოსავალია შემცირებული. მთავარი ფაქტორი ის დაულაგებელი ურთიერთობაა მეზობლებთან, რასაც ხელისუფლება ახორციელებს.

მნიშვნელოვანია ღვინის ექსპორტთან დაკავშირებული საკითხი, რომელიც 180 მილიონიდან 95 მილიონამდეა ჩამოსული.

ესაა იმ პოლიტიკის შედეგი, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ხორციელდება. ჩვენ არაერთხელ შევთავაზეთ მათ რეალური გეგმა, რომელიც წაახალისებს ეკონომიკას, შეაჩერებს ეროვნული ვალუტის გაუფასურებას, ხელისუფლება კი მხოლოდ განცხადებებითაა შემოფარგლული და არაკონკრეტული ნაბიჯების გადადგმით, – აცხადებს მელიქიშვილი.

**ნიუპოსტი**

# „ლარის კურსის დაჭერა მარტივი საქმეა“

ნონა ცაბაძე



## ალექსანდრე თვალჭრელიძე: „ამისთვის საჭიროა ლარის ზედმეტი ბანკნოტების მიმოქცევიდან ამოღება“



ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში ალექსანდრე თვალჭრელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ლარის გაუფასურებას ეხმიანება და კურსის ვარდნის რამდენიმე მიზეზზე საუბრობს.

***– ბატონო ალექსანდრე, ლარი კატასტროფულად განაგრძობს ვარდნას. რა არის ამის მიზეზი და კიდევ უფრო ხომ არ გაუარესდება სიტუაცია?***

– ცუდი მეხსიერება აქვს ჩვენს საზოგადოებას, მე ოქტომბერში ვამბობდი, რომ როცა მოახლოვდება წასვლა ბატონი ქადაგიძისა, სწორედ მაშინ ექნება ლარს მიყენებული სერიოზული დარტყმა.

***– ანუ ეს მიზანმიმართული პროცესია?***

– სამი მიზეზი აქვს ლარის გაუფასურებას. პირველი არის მართლაც საერთაშორისო მიზეზები. დოლარი მყარდება იმისთვის, რომ ნავთობზე ფასი დავარდეს და რუსეთს ეკონომიკური ზარალი დაადგეს. ეს კი მიზანმიმართული პროცესია. მეორე არის ის, რომ ახალი პრემიერ-მინისტრი მოვიდა, ცოტა ხანია რაც პრემიერია და ბოლომდე სიტუაციაში არ არის გარკვეული. მან ჯერ მთლიანად ვერ აიღო მართვის სადავეები ხელში. მე გიორგი კვირიკაშვილისგან სერიოზულ ქმედებებს ველი.

***– რა კუთხით?***

– უკვე მიდის საუბარი ცვლილებებზე საგადასახადო კოდექსში, ბიზნესის ხელშეწყობაზე, მაგრამ მე ველი ყველაზე აქტიურ ქმედებებს ეროვნულ ბანკთან მიმართებაში. ამ კუთხით მთავრობა ჯერ პასიურია! ჯერ ეროვნული ბანკის ახალი პრეზიდენტის ვინაობაც კი არაა ცნობილი. ამ სიტუაციაში ეროვნული ბანკიც პასიურად იქცევა. ის, რაც დღეს ლარს ჭირს, არის შიდა და გარე ფაქტორების ერთობლიობა.

***– რა ბერკეტი აქვს ხელში ქადაგიძეს?***

– აი, ხომ ხედავთ, ლარს რასაც უშვრება. მე მეჩვენება, რომ გაცილებით კარგი ლარის კურსის შენარჩუნებაა შესაძლებელი, მაგრამ ამას არ აკეთებენ.

***– ანუ მიზანმიმართულად უწყობს ხელს ლარის გაუფასურებას?***

– მე ზუსტად ის ვთქვი, რისი თქმაც მინდოდა. მექანიზმები, რომლებითაც დღეს ლარის კურსის დასტაბილურება შეიძლება, მარტივია.

***– თუმცა ხელისუფლება და ექსპერტთა დიდი ნაწილი მხოლოდ გარე ფაქტორებზე საუბრობს.***

– ეს მაგათი საქმეა! მე ვამბობ, რომ ლარის კურსის დასტაბილურების მექანიზმები არის მარტივი. ფინანსთა სამინისტრომ და ეროვნულმა ბანკმა ერთობლივად უნდა გააკონტროლონ ყოველდღიურად ფარდობა მიმოქცევაში მყოფი უცხოური ვალუტის და შეამცირონ მიმოქცევაში მყოფი ლარის ბანკნოტები, რაც თავის დროზე 1998 წელს გააკეთა ირაკლი მანაგაძემ და ლარის კურსი შეინარჩუნა.

***– ჩვენს მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე პროცესები რამდენად ცუდად აისახება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე?***

– ჩვენს მეზობლებში რომელ ქვეყნებს გულისხმობთ, აზერბაიჯანს?!

***– აზერბაიჯანი, რუსეთი, უკრაინა, თურქეთი.***

– რუსეთში გასაგებია, რაც ხდება. ეს ამერიკის სანქციების და ხელოვნურად ნავთობზე ფასის დაგდების შედეგია რუსული რუბლის პერიპეტიები. აზერბაიჯანმა სპეციალურად, მიზანდასახულად განახორციელა მანათის დევალვაცია.

***– ეს რაში დასჭირდა?***

– რათა რუსეთთან დადებითი სავაჭრო სალდო ჰქონოდა. ასეთივე პროცესები მიდის თურქეთში, ოღონდ ეს იქ გაცილებით ნაკლებად მტკივნეულია, ვიდრე საქართველოში, ვინაიდან იქ საბანკო კრედიტები, თურქულ ლირაში და არა ამერიკულ დოლარში ფიქსირდება.

რასაც ჩვენთან აკეთებენ კომერციული ბანკები, სრულად მიუღებელია. ვინაიდან ჩვენი ეროვნული ვალუტა არის ლარი, კრედიტები უნდა გაცემულიყო ლარში და დაფიქსირებულიყო ლარში. დოლარში კრედიტების გაცემა ანტიკონსტიტუციური ქმედებებია ჩვენი ბანკებისგან.

***– რატომ გაიცემა კრედიტები დოლარში?***

– იმიტომ, რომ ეშინოდათ. არ სჯეროდათ ლარის კურსის და, როგორც ჩანს, ლარის კურსის მერყეობას ელოდებოდნენ. ამით ბანკებმა თავი დაიზღვიეს და დიდი მოგებაც ნახეს. საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც გაურკვეველ გადაწყვეტილებებს იღებს, იგივე ზედამხედველობის სამსახურთან მიმართებაში, სჯობდა, ეს პრაქტიკა გაეუქმებინა!

***– ამ სიტუაციაში რა უნდა ქნას ხალხმა?***

– იმედი მაქვს, რომ ბატონი კვირიკაშვილი ნელ-ნელა შევა ძალაუფლებაში, გაერკვევა სიტუაციაში და მიიღებს ძალიან ხისტ და ქმედით ზომებს. ის კარგი ეკონომისტი და თამამი ადამიანია. მე მჯერა, რომ რაღაცას გააკეთებს.

***– ეროვნული ბანკის მომავალ პრეზიდენტზე რას იტყვით, ვინ შეიძლება დასახელდეს ამ პოსტზე?***

– არ ვარ ჩართული ამ პროცესებში, ვნახოთ, დაველოდოთ. 27 იანვარს გამოვაქვეყნებთო და სწორედ ამის შემდეგ შევძლებ ამ საკითხზე საუბარს.

***– თუკი იქნება შესაფერისი კანდიდატი, შეძლებს სიტუაციის დარეგულირებას?***

– თავისუფლად შეძლებს. გაიხსენეთ ირაკლი მანაგაძე. 1998 წელს, როცა ეკონომიკა არ გვქონდა, მაშინ შეინარჩუნა ლარის კურსი ირაკლი მანაგაძემ. ახლა ეკონომიკა გვაქვს და გაცილებით მარტივი იქნება ამის გაკეთება. საჭიროა პროფესიონალიზმი და კეთილი ნება და არა – რევანშისტული განზრახვები. დანარჩენზე 27 იანვრის შემდეგ ვილაპარაკოთ.

# ლადო პაპავა: „გაზპრომთან ბუნდოვანი პოზიციის დაფიქსირება დიდი შეცდომა იყო“

## „უმაღლეს სასწავლებლებში ლომაიას მოდელი შესაცვლელია“



ეკონომიკის განვითარების აქტუალურ თემებზე, ასევე გაზპრომთან დაკავშირებით შექმნილ ვითარებასა და საშინაო პოლიტიკის ასევე აქტუალურ საკითხებზე ინტერპრესნიუსი პროფესორ ლადო პაპავას ესაუბრა.

***– ბატონო ლადო, პრემიერმა განაცხადა, რომ მოგება, რომელიც შეიქმნება კომპანიაში, დაიბეგრება მხოლოდ განაწილების დივიდენდად გაცემის შემთხვევაში. თუ მოხდება მოგების რეინვესტირება, კომპანიები არ გადაიხდიან მოგების გადასახადს. როგორ შეაფასებთ პრემიერის ამ წამოწყებას?***

– ინიციატივა, რომ მიღებული მოგება სრულად წარიმართოს კერძო ბიზნესში, სტიმულს მისცემს ეკონომიკის განვითარებას; მიდგომა, რომ მიღებული მოგება არ გაიტანონ საწარმოდან, არ გაანაწილონ დივიდენდების სახით, კარგი ინიციატივაა. ეს არის რეინვესტირებისთვის მოგების წარმართვის მექანიზმის შექმნა.

1995 წლიდან მოყოლებული, საქართველოს მთავრობა ცდილობდა რეინვესტირების წახალისებისთვის მოგების ნაწილი, მაგრამ არაუმეტეს 50%-ისა, რომელიც წარიმართებოდა რეინვესტირებისთვის, გათავისუფლებულიყო მოგების გადასახადისგან. მაშინ ამას დიდი წინააღმდეგობა შეხვდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან. არადა, იდეა საკმაოდ მოკრძალებული იყო. თუ მეწარმე გადაწყვეტდა, მოგების 50%-მდე რეინვესტირებაში განეხორციელებინა, მოგება არ დაიბეგრებოდა მოგების გადასახადით. სავალუტო ფონდი შიშობდა, რომ ამის გაკეთების შემთხვევაში ბიუჯეტს დამატებითი პრობლემები შეექმნებოდა.

ის, რაც ახლა ბატონმა გიორგი კვირიკაშვილმა შემოგვთავაზა, ბევრად უკეთესია იმაზე, რისი გაკეთებაც უნდოდა მაშინდელ მთავრობას. მთლიანი მოგების, ან ნაწილის არდაბეგვრას, რომელიც რეინვესტირებასთანაა დაკავშირებული, სჭირდება სპეციალური ადმინისტრირება. უნდა დადგინდეს, თანხები რეინვესტირებაზე მიდის თუ არა. პრემიერმა შემოგვთავაზა არა რეინვესტირებაზე კონტროლის დაწესება, არამედ – შექმნილი მოგების განაწილებაზე. ეს პროცედურა ბევრად მარტივია, რადგან მთავრობა არ ერევა საწარმოს საქმიანობაში.

საერთოდ, მეწარმეები ცდილობენ, თავი აარიდონ გადასახადის გადახდას. ყველაზე ხშირად სწორედ მოგების რეალურ ოდენობას მალავენ. მეწარმეები ცდილობენ რაც შეიძლება ნაკლები მოგების დეკლარირება მოახდინონ, რომ ნაკლები იყოს გადასახადი თანხა. პრემიერის ინიციატივის შემთხვევაში, მეწარმეებს აშკარად უჩნდებათ სურვილი, რაც შეიძლება მეტი მოგება აჩვენონ, რადგან რაც მეტ მოგებას აჩვენებ და დატოვებ წარმოებაში, ის არ დაიბეგრება.

ეს მოდელი სტიმულს აძლევს საწარმოს განვითარებას. იმავდროულად, მოგება დამატებული ღირებულების ნაწილია. თუ მეწარმე მეტ მოგებას აჩვენებს, ბუნებრივია, დამატებული ღირებულების გადასახადიდან მეტი თანხა იქნება ამოღებული.

ახალი ინიციატივის შედეგები საგადასახადო შემოსავლებში კარგად უნდა იყოს ასახული. არ არის გამორიცხული, რომ ამან გამოიწვიოს ბიუჯეტში კორექტივები. თუნდაც იმიტომ, რომ მოგების გადასახადის ხარჯზე მიღებული შემოსავლების ოდენობა შემცირდება და უნდა მოხდეს მისი კომპენსირება სხვადასხვა მიმართულებებით, რათა ბიუჯეტი არ შემცირდეს, განსაკუთრებით საარჩევნო წელს.

***– რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ ამ სიახლემ თავიდან ბიუჯეტის შევსებაზე უარყოფითად იმოქმედოს? თუ ამგვარი ალბათობა დიდია, რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, რომ მოვლენათა ამგვარი განვითარება იმთავითვე გამოირიცხოს?***

– აუცილებელია, ყველა პარამეტრი ხელახლა იქნას გადათვლილი. შემოთავაზებული მექანიზმით მცირდება მოგების გადასახადიდან მიღებული შემოსავლები ბიუჯეტში, მაგრამ იმავდროულად არის შესაძლებლობა, გაიზარდოს დამატებული ღირებულების გადასახადით მიღებული შემოსავლები.

***– როგორ შეაფასებდით გაზპრომთან დაკავშირებით შექმნილ ვითარებას, მხედველობაში მაქვს ხელისუფლების პოზიცია?***

– რუსეთიდან ზეწოლა არც იყო გამორიცხული და არც არასდროს უნდა გამოვრიცხოთ. იგი დიდი ალბათობით მოსალოდნელიც იყო და ეს სულაც არ არის გასაკვირი. მაგრამ გაზპრომთან თავიდანვე კაპიტულანტური და ბუნდოვანი პოზიციის დაფიქსირება დიდი შეცდომა იყო. როცა მთავრობის წევრი მიდის ამა თუ იმ მოლაპარაკებებზე, ის უნდა იყოს შემართული ქვეყნის ინტერესების გასატარებლად. არ უნდა ჰქონდეს განწყობა – აბა, რა ვქნათ?!

ნამდვილად არ ვიცი, მოლაპარაკებებზე რაზე იყო საუბარი, რა არგუმენტები დაიდო, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ საქართველოს მთავრობას სჭირდება მეტი მობილიზება და ქვეყნის ინტერესების უფრო გამოკვეთილად დაცვა. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ ჩვენ გაზპრომთან უნდა გავაგრძელოთ მოლაპარაკებები და ეს საკითხი არ დავთმოთ. დათმობა და ტრანზიტისთვის თანხის მიღებაზე დათანხმება საქართველოსთვის წამგებიანია.

***– ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტი რევაზ არველაძე აცხადებს, რომ ალბათობა, რომ რუსეთმა სომხეთს გაზი საქართველოს ნაცვლად ირანის გავლით მიაწოდოს, რეალობასთან ახლოსაა. ვიდრე გადაწყვეტილება მიღებული არაა, ამ საკითხზე რას ურჩევდით მათ, გადაწყვეტილება ვინ უნდა მიიღოს?***

– ჩვენ ირანთან გვაქვს კარგი ურთიერთობა, რაც ამ შემთხვევაში აუცილებლად გამოსაყენებელია. გაზსადენი, რომელიც ირანს სომხეთთან აკავშირებს, გაზპრომისაა, რუსეთს შეუძლია გაზი იყიდოს ირანისგან და ამ გაზსადენით სომხეთს მიაწოდოს. ეს შესაძლებლობა რეალურია, მაგრამ აქაც არის პრობლემა, დღეისთვის ირანი სომხეთს საჭირო ოდენობის გაზს ტექნიკური მიზეზების გამო ვერ მიაწვდის, ამიტომ შეიძლება გარკვეული დროის მოგება, რომ სამომავლოდ საქართველო უფრო მომზადებული შეხვდეს ამ პროცესს.

აუცილებელია ამ პროცესში ჩვენი პარტნიორების, აშშ-სა და ევროკავშირის ჩართვა. მათ გარეშე გაზპრომთან მოლაპარაკებებში რუსეთთან გამკლავება გაგვიჭირდება.

და კიდევ, ყველა საკითხში საჭიროა მაღალი დონის პროფესიონალიზმი და პატრიოტიზმი. მარტო პატრიოტიზმი საკმარისი არ არის, პროფესიონალიზმი არის აუცილებელი, რის გარეშეც ჩვენ ქვეყანას ვერასდროს ავაშენებთ.

***– მმართველი კოალიცია ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, გიორგი ქადაგიძეს ლარის კურსის ვარდნაში ადანაშაულებდა. დრომ დაგვანახა, რომ ეროვნული ბანკისა და გიორგი ქადაგიძის მიერ გატარებული პოლიტიკა არც ისე ცუდი ყოფილა, როგორც ამას ხელისუფლების წარმომადგენლები აფასებენ. ქადაგიძეს პრეზიდენტობის ვადა მალე გასდის. უცნაური ისაა, რომ ასეთ, ეკონომიკური თვალსაზრისით არამდგრად ვითარებაში, პარლამენტი არ ავლენს სურვილს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი მის წინაშე მოხსენებით წარდგეს. თქვენი აზრით, რატომ? და კიდევ, თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, ვის ანდობდით ეროვნული ბანკის პრეზიდენტობას?***

– პარლამენტის შესახებ ვერაფერს გეტყვით. ეს წმინდა პოლიტიკური პრობლემაა. შეიძლება პარლამენტმა უახლოეს პერიოდში მოისმინოს კიდეც.

***– რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს?***

– ეს ძალიან მარტივი საკითხია. ისევ პროფესიონალიზმის თემას მივადექით. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი არ უნდა იყოს საბანკო სისტემიდან მოსული, რომ გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი. თუ ეს გაკეთდა, ეს იქნება ძალიან დიდი შეცდომა. ეროვნულ ბანკს კი ჰქვია ბანკი, მაგრამ ის სინამდვილეში ბანკი არაა. ის არ არის მოგებაზე ორიენტირებული ერთეული. ეს არის მაკროეკონომიკური რეგულირების კონსტიტუციურად დაცული სახელმწიფო ინსტიტუტი. ამიტომ, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელი უნდა იყოს მაღალი დონის პროფესიონალი, ეკონომისტი, თანაც – მაკროეკონომისტი.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი პირველ რიგში შეიძლება ვეძებოთ უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო სექტორში, კარგი მაკროეკონომისტების შერჩევა მათგან შესაძლებელია, მეორე – ისინი ჩვენ უნდა ვეძებოთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებში. საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებში ბევრი ქართველი წარმატებულად საქმიანობს. რამდენიმეს პირადად ვიცნობ და საკმაოდ წარმატებულები არიან საერთაშორისო სავალუტო ფონდში, მსოფლიო ბანკში.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტად ასეთი წარმატებული ქართველების ჩამოყვანა ყველაზე კარგი იქნებოდა.

***– მთავრობის სხდომაზე პრემიერმა კვირიკაშვილმა განათლების სისტემის პრობლემებსა და ხელისუფლების ამოცანებზე ისაუბრა. თქვენ რას მიიჩნევდით პირველ რიგში აუცილებლად გასაკეთებლად?***

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# „ერევნის „არარატს“ თბილისში ჩამოსვლა აეკრძალება“

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოსა და სომხეთს შორის შესაძლოა სპორტულ ამბებშიც დაიძაბოს ვითარება. საქმე ის გახლავთ, რომ ყველა ჩვენგანისთვის კარგად ნაცნობი სომხური კლუბი ერევნის „არარატი“ საწვრთნელი შეკრების ჩასატარებლად აფხაზეთს ესტუმრა და იქ რამდენიმე შეხვედრას გამართავს.

ეს ინფორმაცია ჩვენი საზოგადოებისთვის უცნობი დარჩებოდა, აფხაზური მედია საფეხბურთო თემით რომ არ ჩავარდნილიყო აჟიტაციაში.

მიმდინარე წლის ზაფხულში აქ მსოფლიოს ჩემპიონატი ტარდება ფეხბურთში. ამ მუნდიალზე ის ნაკრებები მონაწილეობენ, რომლებსაც ფიფა არ აღიარებს. ჩემპიონატში აფხაზეთის ნაკრებიც მონაწილეობს.

ამ ჩემპიონატის სამზადისის შესახებ „ახალი თაობა“ არაერთხელ წერდა, შესაბამისად, ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ ამ სამზადისში მთელი დე ფაქტო მთავრობაა ჩართული.

უცხოელ სტუმრებსა და ფეხბურთელებს რომ განწყობა არ გაუფუჭონ, აფხაზეთში მსხვილფეხა პირუტყვს სოხუმის მერიამ ბრძოლა გამოუცხადა.

როგორც აფხაზეთში მყოფი ერთ-ერთი რუსი ჟურნალისტი წერდა, სოხუმის ქუჩებში და ავტომაგისტრალებზე ისე თავისუფლად დასეირნობენ ძროხები, რომ თავი ინდოეთში ეგონა.

ეს ეგზოტიკა აფხაზებს ძვირად უჯდებათ. აფხაზეთის შს სამინისტროს მონაცემებით, ავტოავარიების 17% თავხედი ძროხების გამო ხდება.

ფიფას მიერ არაღიარებულთა წინაშე რომ თავი არ მოეჭრათ და ვინმ[...] ავარიაში არ მოჰყვეს, სოხუმი[...] მერიამ გადაწყვეტილება მიი[...] ლო. „უპრაგონოდ“ მოსეირნ[...] მსხვილფეხებს ჯერ დააკავებე[...] და თუ კანონით დათქმულ ვა[...] დაში მათი პატრონი არ გამოც[...] ხადდა, პირუტყვს დაკლავენ დ[...] ხორცს ბაზარში გაყიდიან.

ამ დღეებში ჩემპიონატი[...] საორგანიზაციო კომიტეტი[...] სხდომაც გაიმართა. პრემიერმ[...] არტურ მიქვაბიამ და შს მინის[...] ტრმა ლეონიდ ძიაპშბამ პირო[...] ბა დადეს, რომ ყველაფერ[...] უმაღლეს დონეზე ჩაივლის.

ამ მოვლენის მიმართ აფ[...] ხაზეთში დიდი დაინტერესება[...] რა დონის ფეხბურთს თამაშო[...] ბენ არაღიარებულები, ვერ გეტ[...] ყვით, მაგრამ სანახაობის მოკლებული აფხაზებისთვის ეს ჩემპიონატი მისწრებაა.

ამ თემას დიდ ყურადღებას უთმობს აფხაზური პრესაც. საფეხბურთო თვალსაზრისით აფხაზეთი მიმზიდველი რუსული კლუბებისთვისაც გახდა. ადგილობრივი მედიის ცნობით, ამ მომენტისთვის აფხაზეთში რამდენიმე რუსული კლუბი გადის საწვრთნელ შეკრებას.

როგორც აფხაზური მედია წერს, აქამდე ისინი სოჭში გადიოდნენ შეკრებას. აფხაზთა აზრით, ეს აფხაზური კლუბებისთვის და ნაკრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან რუსულ კლუბებთან თამაშით ისინი გამოცდილებას მიიღებენ.

ადგილობრივების განმარტებით, წელს პირველად მოხდა, რომ აფხაზეთში უცხოური [...]ლუბები ჩამოვიდნენ შეკრე[...]აზე.

მათ შორის არიან ხაბა[...]ოვსკის „სკა ენერგია“ და [...]იჟნი ნოვგოროდის „ვოლგა“. [...]უსული კლუბების იქ გამო[...]ენა, არავის გააკვირვებდა. [...]აკვირველი ისაა, აქამდე რო[...]ორ არ გამართეს ასეთი შეკ[...]ებები.

აი, ერევნის „არარატის[...]ან“ კი ასეთ სიმუხთლეს არა[...]ინ ელოდა.

ქვეყანა, რომელიც მე[...]ობრობას გეფიცება და ამ [...]როს იქ ერთ-ერთ მთავარ [...]ლუბს ამხანაგური მატჩების [...]ასამართად აგზავნის, ამას [...]ხვა რამე ჰქვია.

„არარატის“ სიმუხთლის ამბავს ენგურსგამოღმა საქართველოში დიდი აღშფოთება მოჰყვა.

„საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება XXI“-ს თავმჯდომარე ზვიად ტომარაძე „არარატის“ მიმართ სანქციების დაწესებას ითხოვს.

– 27 იანვარს სოხუმში „დინამოს“ სტადიონზე ფეხბურთში ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგა“ და ერევნის „არარატი“!!! არარატის ფეხი არ ვნახო აქ, – აცხადებს ტომარაძე.

არასამთავრობო ორგანიზაცია უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე საგარეო საქმეთა სამინისტროს სთხოვს, სომხეთის ელჩისგან განმარტებები მოითხოვოს.

– ჩვენი უბედურება ისაა, რომ ყველაფერზე თვალს ვხუჭავთ. ვილაცას შესაძლოა სასაცილოდ მოეჩვენოს სოხუმში „არარატის“ ჩასვლა, მაგრამ ასე არ არის საქმე. ყველაფრის ისე გატარება არ შეიძლება. საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნდა დაიბაროს საქართველოში სომხეთის ელჩი და მისგან განმარტებები მოითხოვოს. არ შეიძლება, ერთი მხრივ, ჩვენი მეგობარი იყოს სომხეთი და მეორე მხრივ, ჩვენთვის წართმეულ ტერიტორიაზე ამხანაგურ მატჩებს ატარებდნენ, – აცხადებს მჟავანაძე.

ის არასამთავრობო ორგანიზაციებს ამ საკითხზე რეაგირებისკენ მოუწოდებს.

– ყველაფერზე რომ ყვირიან, ამაზე ხმას რატომ არ იღებენ, ეს საქართველოსთვის ცუდი არ არის? იმ დღეს პარლამენტთან მოხდა ინციდენტი. მოქალაქე არუთინოვმა დეპუტატ თამაზ მეჭიაურს ხელები აუქნია და ყურის ძირში დაუსტვინა. მეჭიაურმა ხელი აუქნია და ამაზე მთელი ამბავი ატეხეს. თავიდან ამბობდნენ, ხელი გაარტყაო, ეს არ დადასტურდა და ახლა მეჭიაურს ჰომოფობიურ განცხადებაში ადანაშაულებენ. სადაა ჰომოფობია? არასამთავრობოებს არარსებული სკანდალების აგორებას ურჩევნიათ, რაზეც საჭიროა, იმაზე მოახდინონ რეაგირება, – ამბობს უფლებადამცველი.

* * *

ამ უქმეებზე საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რეაგირება არ ყოფილა. იმედი ვიქონიოთ, რომ განმარტებებს სამუშაო კვირაში მაინც გააკეთებენ.

აფხაზეთთან მიმართებაში ბოლო ხანებში სომხეთი სანიმუშოდ იქცეოდა. ერთ-ერთი საერთაშორისო ტურნირიდან, საქართველოს მოთხოვნით, მათ აფხაზეთის ნაკრები მოხსნეს, ამის გამო სომხებს აფხაზები შემოსწყრნენ და ახლა, ეტყობა, „არარატი“ გაუშვეს მათ ნუგეშსაცემად.

# დავით უსუფაშვილი პოლონეთში წავიდა



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი სამუშაო ვიზიტით პოლონეთის რესპუბლიკას ეწვია.

პარლამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, დავით უსუფაშვილი მონაწილეობას მიიღებს ქალაქ ლოძში დაგეგმილ ევროპა-უკრაინის მეცხრე ეკონომიკური ფორუმის მუშაობაში. ფორუმი პოლონეთის აღმოსავლეთის კვლევების ინსტიტუტის ორგანიზებით გაიმართება და მას უკრაინიდან, ევროკავშირიდან, რუსეთიდან, მეზობელი სახელმწიფოებიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან პოლიტიკური წრეების, ბიზნესის, საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრებიან.

24 იანვარს დავით უსუფაშვილმა ფორუმის ფარგლებში დაგეგმილ პლენარულ სხდომაში მიიღო მონაწილეობა, სადაც ის პოლონეთის, უკრაინისა და ევროპის პარლამენტის წარმომადგენლებთან ერთად ჩაერთო დისკუსიაში თემაზე: „უკრაინის ასოცირება ევროპის კავშირში – რეფორმები და მოდერნიზაცია“, ხოლო 25 იანვარს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე სპეციალური სტუმრის სტატუსით მიიღებს მონაწილეობას პლენარულ დისკუსიაში: „აღმოსავლეთ პარტნიორობა – წარმატება თუ მარცხი?“

პრესსამსახურის ინფორმაციით, ევროპა-უკრაინის მეცხრე ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში დაგეგმილია, ასევე დავით უსუფაშვილის ორმხრივი შეხვედრა პოლონეთის რესპუბლიკის სეიმის სპიკერ მარეკ კუჩინსკისთან.

**ინტერპრესნიუსი**

# ინტენსიური თოვა მთელი საქართველოს მასშტაბით ორი დღის განმავლობაში გაგრძელდება



უახლოესი ორი დღის განმავლობაში მთელი საქართველოს მასშტაბით ინტენსიური თოვა გაგრძელდება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის უფროსმა სვეტლანა ნიორაძემ განუცხადა, ითოვებს მთაში, მაღალმთაში, დაბლობში, ბარში, ზღვაზე. მისივე ცნობით, ამჟამად ფოთში წვიმს, თუმცა იქაც მოთოვს.

– იქნება დაბალი ტემპერატურა, მთებში და მაღალმთებში – ქარბუქი. თოვლი იქნება ხვალ და ზეგ. 26 იანვარს თოვლის ინტენსივობა შემცირდება და ზოგან შეიძლება შეწყდეს კიდეც. 26-27 იანვარს ყინვებიც გაძლიერდება, – აცხადებს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი.

მისივე ინფორმაციით, 27 იანვრიდან გამოიდარებს, მაგრამ მცირედი ნალექი მაინც დარჩება.

**ინტერპრესნიუსი**

# ლადო პაპავა: „გაზპრომთან ბუნდოვანი პოზიციის დაფიქსირება დიდი შეცდომა იყო“

დასაწყისი მე-6 გვერდზე




– პრემიერმა სწორად დასვა აქცენტები იმასთან დაკავშირებით, რომ აუცილებელია გაძლიერდეს პროფესიული განათლება, აუცილებლად შესაცვლელია სიტუაცია ჩვენს საჯარო სკოლებში. დიდი გარღვევაა ცოდნის იმ დონესა, რასაც აძლევს სკოლა და იმ დონეს შორის, რომელსაც უმაღლესი სასწავლებელი ითხოვს, რომ მოსწავლე სტუდენტი გახდეს. მე-12 წელი საერთოდ ამოვარდნილია სასწავლო პროცესიდან. ამიტომ, როცა უნივერსიტეტში მოდის ახალგაზრდობა, საკმაოდ რთულია მათი სწორი ორიენტაცია.

მაგალითად, ახალგაზრდა, რომელსაც უნდა გახდეს ფიზიკოსი და აქვს ამის ნიჭი და უნარი, ცხოვრებაში ერთ წელს კარგავს, რადგან მე-12 კლასში ფიზიკას არ ასწავლიან. ასეთი შეცდომები გამოსასწორებელია. მე, როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, მიმაჩნია, რომ უმაღლესი განათლების უმთავრესი პრობლემა გახლავთ დაფინანსების საკითხი. აუცილებელია დაფინანსების „ლომაიას მოდელზე“ უარის თქმა. არ შეიძლება სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები მხოლოდ სტუდენტის მიერ მოტანილ ფულზე იყვნენ ორიენტირებულები. აუცილებელია სტუდენტის დაფინანსებიდან ინსტიტუციურ დაფინანსებაზე გადასვლა.

ჩვენ გვაქვს დიდი და კარგი ამბიცია, რომ ჩვენი უნივერსიტეტები გახდნენ ევროპული უნივერსიტეტების სივრცის ნაწილი, მაგრამ მათგან განსხვავებით, დაფინანსების პრინციპულად სხვა მოდელი გვაქვს. ევროპულ უნივერსიტეტებში, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად არის ეკონომიკურად განვითარებული ესა თუ ის სახელმწიფო, ამის მიხედვითაა განსაზღვრული სახელმწიფოს წილი უნივერსიტეტების, როგორც ინსტიტუციების, დაფინანსებაში. ჩვენთან კი ეს წილი არის პრაქტიკულად ნული.

ჩვენთან ფინანსდება სტუდენტი, პროგრამა, მაგრამ პროგრამა სტუდენტების რაოდენობაზეა გათვლილი. მაგალითად, ჩვენ უნივერსიტეტში ფინანსდება 100 ფიზიკოსის მომზადება, მაგრამ თუ მოვიდა 80 სტუდენტი, ფულს მივიღებთ არა 100, არამედ მხოლოდ 80 ფიზიკოსის მომზადებაზე. არ შეიძლება ჩვენნაირ გაჭირვებულ ქვეყანაში სტუდენტი ფიქრობდეს იმაზე, როგორ იშოვოს ფული უმაღლესი განათლების მისაღებად. განათლების თემა ქვეყნისთვის უნდა გახდეს პრიორიტეტული.

თემა, რომელიც წამოწია პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა, დროულია, პრინციპულია. საქართველოს მომავალი ვერ იქნება კარგი, თუ უნივერსიტეტებს არ ექნება დაფინანსების ხელშეწყობა.

კიდევ ერთ მომენტზე გავამახვილებდი ყურადღებას. ეს გახლავთ მეცნიერების საკითხი. სამწუხაროდ, მეცნიერება დაფინანსების (და არამარტო) მხრივ ერთ-ერთი ყველაზე „დაჩაგრული“ სფეროა. საუნივერსიტეტო განათლება ვერ იქნება მაღალ დონეზე, თუ არ იქნა ჯეროვნად დაფინანსებული უნივერსიტეტებში სამეცნიერო კვლევები.

ჩვენს უნივერსიტეტში შემოერთებულია მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი 14 ინსტიტუტი. მათ მხოლოდ შარშან გაეზარდათ დაფინანსება, რისთვისაც მთავრობას დიდი მადლობა, მაგრამ სამეცნიერო კვლევა მარტო ამ ინსტიტუტებში ხომ არ მიდის? სამეცნიერო კვლევა ზოგადად უნივერსიტეტებშიც ხომ არის. ამიტომ ეს კვლევებიც უნდა იყოს დაფინანსებული მთავრობის მიერ.

მარტო გრანტული დაფინანსება, რომელსაც მეტ-ნაკლებად წარმატებით ახორციელებს რუსთაველის ფონდი, საკმარისი ნამდვილად არ არის. მეცნიერებას, ისევე როგორც უმაღლეს განათლებას, სჭირდება ბაზური დაფინანსება. რაც უფრო მალე შეიცვლება ის მოდელი, რომელიც თავის დროზე ლომაიამ შემოიღო, მით უკეთესი იქნება საქართველოს მომავალი განვითარებისთვის.

**კობა ბენდელიანი, ინტერპრესნიუსი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ბაიდენი: „აშშ და თურქეთი სირიაში სამხედრო ოპერაციისათვის მზად არიან!“

სტამბულში აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ჩავიდა. აქ ის თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანს და პრემიერ დავითოღლუს შეხვდა.



საუბარი სირიაში შექმნილ მდგომარეობას შეეხებოდა. ჟურნალისტებთან საუბარში აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ აშშ მზადაა, ტერორისტებს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენოს და ამ საქმეში თურქეთის სახით საიმედო მოკავშირე ჰყავს.

— ჩვენ და თურქები მზად ვართ, ტერორისტების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია განვახორციელოთ! — თქვა ბაიდენმა.

# სევასტოპოლში სტალინის ძეგლის დადგმა სურთ



რუსეთის კომპარტიის სევასტოპოლის ფილიალის ხელმძღვანელმა პარხომენკომ განაცხადა, რომ ქალაქში სტალინის ძეგლი უნდა აღიმართოს.

ადგილობრივი ტელევიზიით გამოსვლისას პარხომენკომ განაცხადა:

— სტალინი დიდი რუსი მოღვაწე იყო. ქართველებსაც მუსრს ავლებდა, უკრაინელებსაც და ბალტიელებსაც, რადგან ესმოდა, რომ ეს ხალხები რუსეთის მტრები არიან. სტალინური პოლიტიკა რომ გაგრძელებულიყო, რუსეთის იმპერია დღესაც ძლიერი ქვეყანა იქნებოდა, რომლის წინაშეც მთელი მსოფლიო ქედს მოიდრეკდა!

სევასტოპოლელთა 82% სტალინის ძეგლის აღმართვას მხარს უჭერს. ისინი თვლიან, რომ ძეგლი ქალაქის ცენტრში უნდა იდგეს.

# ქემერონი რუსეთთან მოსალაპარაკებლად მზადაა

ლიტვინენკოს მკვლელობასთან დაკავშირებით გამოტანილმა ვერდიქტმა რუსეთ-ინგლისის ურთიერთობები კიდევ უფრო დაძაბა.



ბრიტანეთის პრემიერმა ქემერონმა ლიტვინენკოს მკვლელობას ამაზრზენი უწოდა. მიუხედავად ამისა, მან განაცხადა, რომ რუსეთთან დიალოგი აუცილებელია.

— ეს, უწინარეს ყოვლისა, სირიას შეეხება. აუცილებელია დიალოგი როგორც რუსეთთან, აგრეთვე ასადის რეჟიმთან, მის ოპოზიციასთან, აგრეთვე საუდის არაბეთთან და ირანთან, — ამბობს ქემერონი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ობამა შვილის გამოსაშვებ საღამოზე იტირებს

აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ არ აპირებს ცრემლები შეიკავოს თავისი უფროსი ქალიშვილის მალის გამოსაშვებ საღამოზე.. ამის თაობაზე ქვეყნის მეთაურმა დეტროიტში გამართული ლანჩის დროს განაცხადა.



— მალის სკოლაში სიტყვით გამოსვლა მთხოვეს, მაგრამ უარი ვთქვი. ვაპირებ საღამოზე შავი სათვალეები გავიკეთო და ვიტირო, — განაცხადა პრეზიდენტმა.

ქვეყნის პირველი პირის გოგონა სკოლას ამთავრებს. დიპლომების გადაცემის ცერემონია 2016 წლის გაზაფხულზე გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ მიშელ და ბარაკ ობამები 1992 წელს დაქორწინდნენ. ისინი ორ გოგონას ზრდიან — 17 წლის მალის და 14 წლის საშას. ორივე გოგონა კოლუმბიის ფედერალური ოლქის ვაშინგტონის კერძო სკოლაში სწავლობს.

# კატების სიყვარულმა ქალს სახლი დაატოვებინა



კალიფორნიელი ლინეა ლატანციო საკუთარ მამულში განთავსებულ ტრეილერში გადაბარგდა, რათა თავისი ხუთსაძინებლიანი კოტეჯი ათასამდე უპატრონო კატისთვის დაეთმო. ქალბატონი შტატში ყველაზე დიდი ცხოველთა თავშესაფრის მფლობელია, სადაც ცხოველები გალიებში არ არიან გამომწყვდეულები.

იმის გამო, რომ ქმარი და შვილები არ ჰყავდა, 67 წლის კალიფორნიელი ქალბატონი სახლში, რომლის ფართი 390 კვადრატულ მეტრს შეადგენს, მარტოხელად გრძნობდა თავს. მან თავშესაფარი საკუთარი სახსრებით გახსნა, რისთვისაც ავტომობილი და ძვირფასეულობა გაყიდა. ამჟამად ლატანციო და მოხალისეები 800 მოზრდილ კატასა და 300 კნუტს უვლიან.

ქალმა ქუჩიდან კატების სახლში მიყვანა 1992 წლიდან დაიწყო. 1993 წელს მან ვეტერინარის განათლება მიიღო, რათა კატებისთვის მოევლო.

— არა მგონია კიდევ არსებობდეს ვინმე, ვის გვერდითაც 24 წლის მანძილზე 28 ათასამდე კატას უცხოვრია, — განაცხადა ლატანციომ.

# იმამმა სტამბოლის მეჩეთი კატების თავშესაფრად აქცია



სტამბოლის ისტორიულ რაიონ უსკიუდარში მდებარე მეჩეთში იმამმა მუსტაფა იფმა უპატრონო კატების თავშესაფარი მოაწყო.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კვირაში შვიდი დღის განმავლობაში კატებს შეუძლიათ, თავისუფლად შევიდნენ აზიზ მაჰმუტ ჰიუდაის მეჩეთში, რელიგიური მსახურების დროსაც კი.

ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ერთ-ერთმა კატამ კნუტები პირდაპირ მეჩეთში გააჩინა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმავლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**


# ყველაზე პატარა კინოთეატრი ნორვეგიაში გაიხსნა

ნორვეგიის ქალაქ ტრომსოში მსოფლიოში ყველაზე პატარა კინოთეატრი გაიხსნა. დარბაზი ორ მაყურებელზეა გათვალისწინებული და ყოფილი გაზეთების ჯიხურის ტერიტორიაზე მდებარეობს.



კინოთეატრის გახსნა ნორვეგიაში XXVI საერთაშორისო კინოფესტივალის გახსნას მიძღვნა. ერთი კვირის განმავლობაში კინოთეატრში დღეში ერთ ფილმის ნახვა იქნება შესაძლებელი.

ბილეთის ფასი 500 ნორვეგიულ კრონს შეადგენს. ორგანიზატორთა თქმით, კინოდარბაზის ტექნიკური მონაცემები არაფრით ჩამოუვარდება ჩვეულებრივი კინოთეატრების მონაცემებს. ფილმების ჩვენებას კინომექანიკოსი უზრუნველყოფს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

## მკურნალობა

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ — ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ — ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ — მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ — წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# ლევან კობიაშვილი: „კახა ცხადაძე ნაკრების მწვრთნელი აღარ იქნება“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ონში უეფას ოფისში სავალდებულო შეხვედრა გვქონდა.

ბოლო საუბრის შემდეგ, ჩვენ შორის ურთიერთობა გაწყდა. მან ჩვენი პრესსამსახურის მეშვეობით მაცნობა, რომ ჩემთან ურთიერთობა ამოწურა და საუბარს აღარ აპირებს. კახა ეცადა ეს დაძაბულობა შემოეტანა. მან დაურეკა ყველას – ნაკრების მოქმედ თუ ყოფილ ფეხბურთელებს და დახმარებას სთხოვდა. ტყუილია, რომ ჩემგან ოფიციალური შეთავაზება არ მიუღია. თუ ასე იყო, ხელფასის 25 პროცენტს რისთვის იკლებდა.

ჩემთვის განსაკუთრებით მძიმეა იმის მოსმენა, რომ კობიაშვილი არაფერს წარმოადგენს და ვიღაცის მითითებებს იღებს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ 3 ოქტომბრის შემდეგ ფეხბურთის ფედერაციის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება არის ჩემი და ჩემი გუნდის გადაწყვეტილება.

ცხადაძე თავისი განცხადებებით დიდი ზიანს აყენებს ფედერაციას, სპორტის სამინისტროს და სახელმწიფო ინსტიტუტს, რომელთა გარეშე ქართული ფეხბურთის განვითარება წარმოუდგენელია. ეს დაპირისპირება იმ ხალხის დაწყებულია, რომლებმაც 3 ოქტომბრის ფეხბურთის ფედერაციის არჩევნები ვერ მოიწელეს.

პრესკონფერენციაზე ლევან კობიაშვილმა კახა ცხადაძის ხელფასზეც ისაუბრა.

გაირკვა, რომ ფეხბურთის ფედერაცია, წლიურად, ცხადაძეს უხდის 1.500.000 ლარს, რაც ორ წელიწადში 3.000.000 ლარია. ფედერაცია მის სამწვრთნელო შტაბს, ყოველწლიურად უხდის 800.000 ლარს, რაც 2 წელიწადში 1.600.000 ლარია.

– პლუს ამას, კახა ცხადაძემ, 2015 წლის აპრილში, ე.წ. უხელფასო პერიოდში, მაშინდელი ხელმძღვანელობისგან უპროცენტო სესხი, 100.000 დოლარი მიიღო, რომლის დასაფარადაც, ყოველთვიურად ეჭრებოდა თანხა ხელფასიდან. ახლა დარჩენილია ამ სესხის 50.000 დოლარი, – განაცხადა კობიაშვილმა.

მან ცხადაძეს შესთავაზა ამ თანხების 50%-ის ფიქსირებული გადახდა, 50%-ის კი, ერთიანად, შედეგის მიღწევის შემდეგ. ამასთან, თუ გავიდოდა მეორე ადგილზე, კიდევ მთლიანი თანხის 50%-ის გადახდა.

– კახამ ტყუილი განაცხადა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის შემთხვევაში იმ თანხის 30%-ს მიიღებს, რომელსაც უეფა აძლევს იმ ნაკრებებს, რომლებიც მუნდიალზე გადიან.

ხელშეკრულებაში წერია, რომ იმ თანხიდან, რომელსაც ფიფა გუნდებს აძლევს, 30% ნაკრებსა და მწვრთნელს ხმარდება, მაგრამ მეორე ადგილზე გასვლა არ ნიშნავს ავტომატურად მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრას. შევთავაზე დარჩენილი 50.000 დოლარის განულება. იმ შემთხვევაში, თუ გუნდი მესამეზე გავიდოდა, უფრო მეტს მიიღებდა, – განაცხადა ლევან კობიაშვილმა.



***– მის მუშაობას როგორ შეაფასებთ?***

– გასაგებია, საუბარი საითაც მიგყავთ. მე ყოველთვის ვიძახდი და ყველაფერს ვაკეთებდი, რომ ცხადაძეს თანამდებობა შეენარჩუნებინა. ყველა შეხვედრაზე ვთხოვდი, რომ გვერდით დამდგომოდა.

***– რა საფუძველი გააჩნია ცხადაძის მიერ ნათქვამს, რომ სპორტის მინისტრ ტარიელ ხეჩიკაშვილსა და ფედერაციის პირველ ვიცე-პრეზიდენტ კახა ჭუმბურიძეს მისი გაშვება სურდათ?***

– ვიდრე ლევან კობიაშვილი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტია, მის საქმეში ვერავინ ჩაერევა. კახა ამბობს, რომ მისი მეგობარი ვარ. მეც ვამბობ, რომ ჩემი მეგობარია. თუმცა, ამავე დროს ამბობს, რომ სხვის მითითებებს ვასრულებ. ეს ყველაფერი კი, იმ ხალხისგან მოდის, რომლებმაც 3 ოქტომბერი ვერ მოიწელეს და ისინი ვერასოდეს დაბრუნდებიან.

***– სპორტის მინისტრმა განაცხადა, რომ 2015 წლის ივნისში ნაკრების მთავარი მწვრთნელისთვის ხელფასის გადახდაზე უარი თქვა. თუ ეს თანხა მიუღებელი იყო, მაშინ ცხადაძეს ხელფასს ფეხბურთის ფედერაცია რატომ უხდიდა?***

– შარშან ივნისში ფეხბურთის ფედერაციის სათავეში ჩვენ არ ვიყავით. ფეხბურთის ფედერაციას იმის საშუალება რომც ჰქონდეს, მწვრთნელს თვეში 120.000 ლარი უხადოს, მისი გადახდა მიზანშეწონილად მაინც არ მიმაჩნია. ცხადაძე როგორც სპორტის მინისტრს მოიხსენიებს, ის უკვე სახელმწიფოს შეურაცხყოფაა. კერძო სექტორისკენ და ბიზნესმენებისკენ ხელის გაშვერა მიუღებელია. თავის დროზე, ფედერაციასთან კონტრაქტს რომ აფორმებდა, სიჭინავას კომპეტენციამ არ დააინტერესა?!

***– ცხადაძემ თქვა, რომ კონტრაქტიდან გამომდინარე მისი პირობების გადახედვა წარმოუდგენელია. ეს დავა სამართლებრივ ჭრილში გადავა?***

– კონტრაქტში წერია, რომ ფედერაცია შეაფასებს მწვრთნელის მიერ გაწეულ სამუშაოს და პირობები გადაიხედება. რასაც ის ამბობს, სისულელეა. შესარჩევი ციკლი 2017 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მთავრდება და მერე ხომ არ უნდა გადაიხედოს? პირობები სამუშაო პროცესში უნდა გადაიხედოს, თორემ 2017 წლის 31 დეკემბერს მას კონტრაქტის ვადა ისედაც ეწურება.

***– ცხადაძემ ისიც განაცხადა, რომ ასაკობრივ ნაკრებებში მწვრთნელების დანიშვნის საკითხი სპორტის მინისტრმა გადაწყვიტა.***

– მისი განცხადებები შეურაცხმყოფელია იმ ინსტიტუტებისთვის, რომლებსაც ის წარმოადგენს. ამ ადამიანთან მუშაობა მიუღებელი და წარმოუდგენელია.

***– ნაკრების ფეხბურთელებს რა პოზიცია აქვთ?***

– კარგი იქნებოდა, რომ ეს საკითხი აქამდე არ მისულიყო. ის ფეხბურთელებს ყოველდღე ურეკავდა და დახმარებას სთხოვდა, რის გამო, ისინი უხერხულ მდგომარეობაში იყვნენ. მათ ვესაუბრე და ავუხსენი, სინამდვილეში რაც ხდება.

***– ცხადაძესთან კონტრაქტის გაწყვეტის შემდეგ საკომპენსაციოდ რა თანხა ერგება?***

– ამას მომავალი გვიჩვენებს. ჩვენ ვისაუბრეთ და შევთავაზე, რომ თუ ჩვენს წინადადებას არ თანხმდებოდა, კონტრაქტის გაწყვეტაზე ორივე მხარე შევთანხმებულიყავით. ამ შემთხვევაში მისთვის მისაღები იყო, რომ ზაფხულამდე ხელფასი გვეხადა, მაგრამ ჩემთან კონტაქტი გაწყვიტა. ჩვენს პრესსამსახურს შეატყობინა, რომ ჩემთან ურთიერთობას წყვეტს.

***– ნაკრების მთავარი მწვრთნელის კანდიდატად ვინ სახელდება?***

– აღმასკომი შეიკრიბება და გადავწყვეტთ, რა და როგორ იქნება. ბუნებრივია, ახალი მწვრთნელის საკითხი რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადავწყვიტოთ.

***– მომხდარის მთავარ მიზეზად რა მიგაჩნიათ, ფინანსები?***

– კახას ყველა შეხვედრაზე გვერდით დგომას ვთხოვდი. ჩემი მხრიდან აბსოლუტური მხარდაჭერა ჰქონდა. არასწორია, როდესაც ფედერაციას ფინანსურად სერიოზული პრობლემები აქვს, ნაკრების მწვრთნელსა და მის შტაბს თვეში 200.000 ლარამდე ხელფასი უხადო.

***– თუ ცხადაძის მიერ ნაჩვენები შედეგი არ გაკმაყოფილებდათ და ვერც ფინანსურად თანხმდებოდით, მაშინ თანამშრომლობის გაგრძელება რატომ გსურდათ?***

– როდესაც რამე არ გინდა, ადამიანს არც სთავაზობ. მე რომ არ მდომებოდა მისი მწვრთნელობა, ფედერაციაში მოსვლის პირველი დღიდან უარს ვეტყოდი. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ მეგობრულად გვერდით დადგომა ვთხოვე.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# წყალბურთელებმა ევროპა მე-14 ადგილით დაასრულეს



საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა სერბეთში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლა მე-14 ადგილზე დაასრულა. იოვან პოპოვიჩის გუნდი მე-13 ადგილისთვის შეხვედრაში სლოვაკეთს დაუპირისპირდა და 9:10 დამარცხდა.

პირველი მეოთხედი 2:2 დასრულდა, მეორეში ჩვენებმა მოიგეს, ხოლო მესამე ისევ თანაბარი ანგარიში დაფიქსირდა. მიუხედავად ასეთი მიმდინარეობისა, ჩვენი გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში წინ იყო, მაგრამ ბოლო წუთებზე უპირატესობა დათმო და გამარჯვება მეტოქეს დაუთმო.

საქართველოს ნაკრებიდან 2-2 გოლი ბექა ქავთარაძემ და მარკო ელაჩამ გაიტანეს, თითო გოლის გატანა კი ხუთმა წყალბურთელმა – მარკო ელეზმა, ანდრია ბითაძემ, მიხეილ ბალათურიამ, ზურაბ რურუამ და კოტე გეგელაშვილმა შეძლო.

ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილისთვის შეხვედრაში უნგრეთმა 13:10 მოუგო საბერძნეთს, ხოლო ჩემპიონის ვინაობა სერბეთისა და ჩერნოგორიის ნაკრებებმა გაარკვიეს – ბებერი კონტინენტის საუკეთესო გუნდი მასპინძელთა ნაკრები გახდა, რომელმაც დასკვნითი მატჩი 10:8 მოიგო.

# შედეგები

## 23 იანვარი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ნორვიჩი-ლივერპული ..... 4:5
კრ.პალასი-ტოტენჰემი ..... 1:3
ლესტერი-სტოკი ..... 3:0
მანჩესტერი-საუთჰემპტონი ..... 0:1
სანდერლენდი-ბორნმუთი ..... 1:1
უოტფორდი-ნიუკასლი ..... 2:1
ვესტ ბრომვიჩი-ასტონ ვილა ..... 0:0
ვესტ ჰემი-სიტი ..... 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 23 | 13 | 8 | 2 | 42-26 | 47 |
| 2.სიტი | 23 | 13 | 5 | 5 | 45-23 | 44 |
| 3.არსენალი | 22 | 13 | 5 | 4 | 37-21 | 44 |
| 4.ტოტენჰემი | 23 | 11 | 9 | 3 | 41-19 | 42 |
| 5.მანჩესტერი | 23 | 10 | 7 | 6 | 28-21 | 37 |
| 6.ვესტ ჰემი | 23 | 9 | 9 | 5 | 36-28 | 36 |
| 7.ლივერპული | 23 | 9 | 7 | 7 | 30-32 | 34 |
| 8.საუთჰემპტონი | 23 | 9 | 6 | 8 | 32-24 | 33 |
| 9.სტოკი | 23 | 9 | 6 | 8 | 24-25 | 33 |
| 10.უოტფორდი | 23 | 9 | 5 | 9 | 27-26 | 32 |
| 11.კრ.პალასი | 23 | 9 | 4 | 10 | 24-27 | 31 |
| 12.ევერტონი | 22 | 6 | 11 | 5 | 39-32 | 29 |
| 13.ვესტ ბრომვიჩი | 23 | 7 | 7 | 9 | 22-30 | 28 |
| 14.ჩელსი | 22 | 6 | 7 | 9 | 31-34 | 25 |
| 15.ბორნმუთი | 23 | 6 | 7 | 10 | 27-38 | 25 |
| 16.ნორვიჩი | 23 | 6 | 5 | 12 | 28-43 | 23 |
| 17.სუონსი | 22 | 5 | 7 | 10 | 20-30 | 22 |
| 18.ნიუკასლი | 23 | 5 | 6 | 12 | 25-41 | 21 |
| 19.სანდერლენდი | 23 | 5 | 4 | 14 | 28-46 | 19 |
| 20.ასტონ ვილა | 23 | 2 | 7 | 14 | 18-38 | 13 |

**ინგლისი. ჩემპიონშიპი**

ქპრ-ვულვზი ..... 1:1
ბირმინგემი-იფსვიჩი ..... 3:0
ბოლტონი-მილტონი ..... 3:1
ბრაიტონი-ჰადერსფილდი ..... 2:1
კარდიფი-როტერჰემი ..... 2:2
ჩარლტონი-ბლექბერნი ..... 1:1
ფულემი-ჰალი ..... 0:1
ლიფსი-ბრისტოლი ..... 1:0
მიდლსბრო-ნოტინგემი ..... 0:1
პრესტონი-ბრენტფორდი ..... 1:3
რედინგი-უენსდი ..... 1:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

მალაგა-ბარსელონა ..... 1:2
ესპანიოლი-ვილიარეალი ..... 2:2
გრანადა-ხეტაფე ..... 3:2
რაიო-სელტა ..... 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 20 | 15 | 3 | 2 | 52-16 | 48 |
| 2.ატლეტიკო | 20 | 15 | 2 | 3 | 30-8 | 47 |
| 3.რეალი | 20 | 13 | 4 | 3 | 57-19 | 43 |
| 4.ვილიარეალი | 21 | 12 | 5 | 4 | 28-18 | 41 |
| 5.სელტა | 21 | 10 | 4 | 7 | 32-33 | 34 |
| 6.ეიბარი | 20 | 9 | 6 | 5 | 32-21 | 33 |
| 7.სევილია | 20 | 9 | 5 | 6 | 28-22 | 32 |
| 8.დეპორტივო | 20 | 6 | 10 | 4 | 27-24 | 28 |
| 9.ბილბაო | 20 | 8 | 4 | 8 | 27-28 | 28 |
| 10.ხეტაფე | 21 | 7 | 5 | 9 | 26-31 | 26 |
| 11.ვალენსია | 20 | 5 | 9 | 6 | 25-21 | 24 |
| 12.მალაგა | 21 | 6 | 6 | 9 | 16-19 | 24 |
| 13.ესპანიოლი | 21 | 6 | 4 | 11 | 20-35 | 22 |
| 14.სოსიედადი | 21 | 5 | 6 | 10 | 24-33 | 21 |
| 15.ბეტისი | 20 | 5 | 6 | 9 | 13-28 | 21 |
| 16.გრანადა | 21 | 5 | 5 | 11 | 24-43 | 20 |
| 17.რაიო | 21 | 5 | 4 | 12 | 26-45 | 19 |
| 18.ლას პალმასი | 20 | 4 | 6 | 10 | 19-30 | 18 |
| 19.ხიხონი | 20 | 5 | 3 | 12 | 22-35 | 18 |
| 20.ლევანტე | 20 | 3 | 5 | 12 | 17-36 | 14 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალავესი-უესკა ..... 1:0
ხირონა-ატლეტიკო ბ ..... 2:1
ლუგო-ოვიედო ..... 2:2
მალიორკა-ალკორკონი ..... 1:0
ლეგანესი-ალმერია ..... 2:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

კიოლნი-შტუტგარტი ..... 1:3
ჰანოვერი-დარმშტადტი ..... 1:2
ჰერტა-აუგსბურგი ..... 0:0
ჰოფენჰაიმი-ლევერკუზენი ..... 1:1
ინგოლშტადტი-მაინცი ..... 1:0
გლადბახი-დორტმუნდი ..... 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 18 | 16 | 1 | 1 | 48-9 | 49 |
| 2.დორტმუნდი | 18 | 13 | 2 | 3 | 50-24 | 41 |
| 3.ჰერტა | 18 | 10 | 3 | 5 | 26-18 | 33 |
| 4.გლადბახი | 18 | 9 | 2 | 7 | 35-33 | 29 |
| 5.ლევერკუზენი | 18 | 8 | 4 | 6 | 26-21 | 28 |
| 6.შალკე | 17 | 8 | 3 | 6 | 23-23 | 27 |
| 7.ვოლფსბურგი | 17 | 7 | 5 | 5 | 26-21 | 26 |
| 8.მაინცი | 18 | 7 | 3 | 8 | 23-24 | 24 |
| 9.კიოლნი | 18 | 6 | 6 | 6 | 19-24 | 24 |
| 10.ინგოლშტადტი | 18 | 6 | 5 | 7 | 12-18 | 23 |
| 11.ჰამბურგი | 18 | 6 | 4 | 8 | 20-25 | 22 |
| 12.დარმშტადტი | 18 | 5 | 6 | 7 | 19-27 | 21 |
| 13.აუგსბურგი | 18 | 5 | 5 | 8 | 21-26 | 20 |
| 14.შტუტგარტი | 18 | 5 | 3 | 10 | 25-38 | 18 |
| 15.აინტრახტი | 17 | 4 | 5 | 8 | 21-28 | 17 |
| 16.ვერდერი | 17 | 4 | 3 | 10 | 17-32 | 15 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 18 | 2 | 8 | 8 | 18-26 | 14 |
| 18.ჰანოვერი | 18 | 4 | 2 | 12 | 19-31 | 14 |

**იტალია. სერია ა**

ფროზინონე-ატალანტა ..... 0:0
ემპოლი-მილანი ..... 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 20 | 13 | 5 | 2 | 41-16 | 44 |
| 2.იუვენტუსი | 20 | 13 | 3 | 4 | 37-15 | 42 |
| 3.ინტერი | 20 | 12 | 4 | 4 | 25-13 | 40 |
| 4.ფიორენტინა | 20 | 12 | 2 | 6 | 37-21 | 38 |
| 5.რომა | 20 | 9 | 8 | 3 | 37-23 | 35 |
| 6.მილანი | 21 | 9 | 6 | 6 | 29-25 | 33 |
| 7.სასუოლო | 20 | 8 | 8 | 4 | 25-21 | 32 |
| 8.ემპოლი | 21 | 9 | 5 | 7 | 27-26 | 32 |
| 9.ლაციო | 20 | 8 | 4 | 8 | 25-29 | 28 |
| 10.კიევო | 20 | 7 | 6 | 7 | 26-22 | 27 |
| 11.ტორინო | 20 | 7 | 5 | 8 | 27-26 | 26 |
| 12.ატალანტა | 21 | 7 | 5 | 9 | 21-24 | 26 |
| 13.უდინეზე | 20 | 7 | 3 | 10 | 18-31 | 24 |
| 14.სამპდორია | 20 | 6 | 5 | 9 | 29-32 | 23 |
| 15.ბოლონია | 20 | 7 | 2 | 11 | 22-27 | 23 |
| 16.ჯენოა | 20 | 6 | 4 | 10 | 23-26 | 22 |
| 17.პალერმო | 20 | 6 | 3 | 11 | 19-33 | 21 |
| 18.კარპი | 20 | 4 | 5 | 11 | 19-35 | 17 |
| 19.ფროზინონე | 21 | 4 | 4 | 13 | 22-45 | 16 |
| 20.ვერონა | 20 | 0 | 9 | 11 | 13-32 | 9 |

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-ლანჩანო ..... 1:0
ბარი-ვიჩენცა ..... 2:1
კალიარი-ტერნანა ..... 1:0
ჩეზენა-ენტელა ..... 2:0
მოდენა-აველინო ..... 1:1
ნოვარა-კროტონე ..... 0:1
ტრაპანი-ლატინა ..... 1:2
პრო ვერჩელი-სპეცია ..... 0:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

პსჟ-ანჟერი ..... 5:1
გენგამი-ბასტია ..... 1:0
ნანტი-ბორდო ..... 2:2
ლილი-ტრუა ..... 1:3
მონპელიე-კაენი ..... 1:2
ნიცა-ლორიანი ..... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 22 | 19 | 3 | 0 | 56-10 | 60 |
| 2.ნიცა | 22 | 10 | 6 | 6 | 37-26 | 36 |
| 3.მონაკო | 21 | 9 | 9 | 3 | 29-25 | 36 |
| 4.რენი | 22 | 8 | 10 | 4 | 32-25 | 34 |
| 5.ანჟე | 22 | 9 | 7 | 6 | 21-18 | 34 |
| 6.კაენი | 22 | 10 | 3 | 9 | 24-28 | 33 |
| 7.სტ.ეტიენი | 21 | 10 | 2 | 9 | 24-24 | 32 |
| 8.ბორდო | 22 | 7 | 9 | 6 | 27-30 | 30 |
| 9.მარსელი | 21 | 7 | 8 | 6 | 31-22 | 29 |
| 10.ლიონი | 21 | 8 | 5 | 8 | 27-25 | 29 |
| 11.ნანტი | 22 | 7 | 8 | 7 | 20-22 | 29 |
| 12.ლორიანი | 22 | 6 | 9 | 7 | 30-32 | 27 |
| 13.გაზელეკი | 22 | 6 | 8 | 8 | 24-27 | 26 |
| 14.ლილი | 22 | 5 | 10 | 7 | 17-18 | 25 |
| 15.ბასტია | 22 | 7 | 4 | 11 | 21-27 | 25 |
| 16.გენგამი | 22 | 6 | 6 | 10 | 20-29 | 24 |
| 17.მონპელიე | 22 | 6 | 4 | 12 | 23-29 | 22 |
| 18.რეიმსი | 21 | 5 | 7 | 9 | 22-29 | 22 |
| 19.ტულუზა | 21 | 4 | 8 | 9 | 24-35 | 20 |
| 20.ტრუა | 22 | 1 | 8 | 13 | 16-44 | 11 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლანსი-დიჟონი ..... 1:1
ნიორი-ევიანი ..... 0:3
რედ სტარი-ლავალი ..... 2:0

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ჰერაკლესი-გრააფსხაპი ..... 2:1
აიაქსი-ვიტესი ..... 1:0
ექსელსიორი-როდა ..... 0:1
ჰერენვენი-ტილბურგი ..... 3:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

სეტუბალი-აკადემიკა ..... 2:1
მორეირენსე-ეშტორილი ..... 1:3
მადეირა-ნასიონალი ..... 3:0
ბენფიკა-აროუკა ..... 3:1
ფერეირა-სპორტინგი ..... 1:3

**შოტლანდია. პრემიერშიპი**

სელტიკი-სტ.ჯონსონი ..... 3:1
დ.იუნაიტედი-კილმანროკი ..... 5:1
ინვერნესი-პარტიკი ..... 0:0
მოზერველი-როსი ..... 1:2

**ბელგია. პრო ლიგა**

მეხელენი-გენკი ..... 1:1
სტ.ტრუიდენი-ვესტერლო ..... 1:2
ვარეგემი-ლეუვენი ..... 2:2
მუსკრონი-ლოკერენი ..... 1:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

კალონი-პანთრათიკოსი ..... 2:0
პანიონიოსი-ასტერასი ..... 0:0
ოლიმპიაკოსი-ქსანთი ..... 1:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქონია-ქაისერი ..... 1:0
მერსინი-აკჰისარი ..... 0:0
ოსმანლი-გალათასარაი ..... 3:2

### ჩოგბურთი

**ავსტრალიის ღია პირველობა**

**კაცები**

ცონგა-ნიშიკორი ..... 4:6;2:6;4:6
ჯოკოვიჩი-სიმონი ..... 6:3;6:7;6:4;4:6;6:3
ბაუტისტა-ბერდიხი ..... 6:4;4:6;3:6;6:1;3:6

**ქალები**

ბენდიჩი-შარაპოვა ..... 5:7;5:7
ს.უილიამსი-გასპარიანი ..... 6:2;6:1
ა.რადვანსკა-ფრიდსმანი ..... 6:7;6:1;7:5

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# კალათბურთი: საქართველოს ევროშესარჩევის მეტოქეები გაარკვია

გერმანიის ქალაქ მიუნხენში ჩატარდა ევროპის 2017 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის კენჭისყრა. საქართველოს ეროვნული ნაკრები, რომელიც პირველ კალათაში იყო განთესილი, ფ ჯგუფში მოხვდა. ჩვენი ნაკრების მეტოქეები იქნებიან მონტენეგრო, სლოვაკეთი და ალბანეთი.

ევროპის 2017 წლის ჩემპიონატზე უკვე გასულია 13 გუნდი: ისრაელი, თურქეთი, რუმინეთი, ფინეთი (ევრობასკეტის მასპინძლები), ესპანეთი, ლიტვა (ევრობასკეტის ფინალისტები და ოლიმპიადის მონაწილენი), საფრანგეთი, იტალია, სერბეთი, საბერძნეთი, ჩეხეთი, ლატვია, ხორვატია (ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირის მონაწილენი). შესაბამისად, ევრობასკეტის 24 საგზურიდან გასათამაშებელი დარჩა 11, რომლისთვისაც სწორედ ის 27 გუნდი იბრძოლებს, რომლებიც მიუნხენში გამართული კენჭისყრის შედეგად 7 ჯგუფში გადანაწილდნენ.

ევროპის ჩემპიონატის საგზურს აღნიშნული ჯგუფების გამარჯვებულები მიიღებენ, რომლებსაც 4 საუკეთესო მეორეადგილოსანი დაემატება.

რაკი 1 ჯგუფში დანარჩენებისგან განსხვავებით 3 გუნდია, საუკეთესო მეორეადგილოსანი შემდეგი პრინციპით გამოვლინდება: 4-გუნდიანი ჯგუფების მეორეადგილოსნებს ჩამოეჭრებათ ჯგუფში ბოლო, მე-4 ადგილზე გასულ გუნდებთან ნაჩვენები შედეგები და ამ შედეგებით გამოვლინდება 4 საუკეთესო.

**საქართველოს ნაკრების მატჩების კალენდარი ასეთია:**




**31 აგვისტო:** საქართველო-ალბანეთი
**3 სექტემბერი:** სლოვაკეთი-საქართველო
**7 სექტემბერი:** საქართველო-მონტენეგრო
**10 სექტემბერი:** ალბანეთი-საქართველო
**14 სექტემბერი:** საქართველო-სლოვაკეთი
**17 სექტემბერი:** მონტენეგრო-საქართველო.

მიუნხენშივე ჩატარდა სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებების კენჭისყრა.

20-წლამდელთა საქართველოს ნაკრები, რომელსაც ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი წვრთნის, ა ჯგუფში მოხვდა, სადაც ჩვენი მეტოქეები იქნებიან: პორტუგალია, მონტენეგრო, მაკედონია და სომხეთი.

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ბ დივიზიონში საბერძნეთის ქალაქ ჰალკიდაში იასპარეზებს 15-დან 24 ივლისის ჩათვლით.

18-წლამდელთა საქართველოს ნაკრები ბ დივიზიონში ასპარეზობს და 29 ივლისიდან 7 აგვისტომდე მაკედონიის ქალაქ სკოპიეში იასპარეზებს.

24 გუნდი 4 ჯგუფში გადანაწილდა. საქართველო მოხვდა დ ჯგუფში ალბანეთთან, სლოვაკეთთან, ინგლისთან, შოტლანდიასთან და უკრაინასთან.

ბ დივიზიონშია 16-წლამდელთა საქართველოს ნაკრებიც და 11-20 აგვისტოს ბულგარეთის ქალაქ სოფიაში იასპარეზებს.

24 გუნდი 4 ჯგუფში გადანაწილდა. საქართველო მოხვდა დ ჯგუფში, სადაც მეტოქეებად ჩეხეთი, სლოვაკეთი, ბელგია, ისლანდია და მასპინძელი ბულგარეთი ეყოლება.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ქართულ რაგბის 4 წლით გოჩა სვანიძე უთავკაცებს

გუშინ, 24 იანვარს, გაიმართა საქართველოს რაგბის კავშირის საპრეზიდენტო არჩევნები.

ქორთიარდ მერიოტში შეკრებილმა ხმის უფლების მქონე დელეგატებმა არჩევანი ორ კანდიდატს – გოჩა სვანიძესა და ილია ზედგინიძეს შორის გააკეთეს.



დელეგატთა გადაწყვეტილებით, ქართულ რაგბის უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში გოჩა სვანიძე უხელმძღვანელებს. 68 დელეგატიდან სვანიძეს ხმა 35-მა მისცა. ზედგინიძემ 32 ხმა დააგროვა. 1 ბიულეტენი ბათილად გამოცხადდა.

ორივე კონკურენტი მეტოქეს სერიოზულად აღიქვამდა და ამას არც არჩევნების დაწყებამდე მალავდნენ. არჩევნები კი 1 საათის დაგვიანებით დაიწყო.



თავდაპირველად აწ უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემ გააკეთა საანგარიშო მოხსენება, შემდეგ 15-15 წუთი კანდიდატებს დაეთმო, ბოლოს კი უკვე კენჭისყრაც შედგა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## ბრიტანულ კოლეჯში ფორმა ტრანსგენდერების გამო შეცვალეს

ერთ-ერთი ბრიტანული კერძო სკოლის ხელმძღვანელობამ თავის მოსწავლე-ტრანსგენდერებს უფლება მისცა, სასკოლო ფორმა თავისი სურვილისამებრ შეარჩიონ და არა სქესის მიხედვით.

სასწავლო დაწესებულების დირექტორის



რიჩარდ კეირნსის თქმით, დრეს-კოდის შეცვლისკენ, რომელიც სკოლაში 170 წელზე მეტია რაც მოქმედებს, ზოგიერთი ოჯახის თხოვნამ გადააწყვეტინა.

– ეს ჩემს პირად რწმენასაც უკავშირდება, რომ ახალგაზრდებს უნდა პატივი ვცეთ და გავითვალისწინოთ ის, როგორებიც არიან... თუ ზოგიერთი ყმაწვილი ან გოგონა თავს ბედნიერად გრძნობს, როდესაც საკუთარ თავს საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლად აღიქვამს, მაშინ მე მათი შეხედულება უნდა გავიზიარო. ჩემი, როგორც დირექტორის ერთადერთ ამოცანას მათი ბედნიერების და კეთილდღეობის უზრუნველყოფა წარმოადგენს, – განაცხადა კოლეჯის დირექტორმა

კეირნსმა ასევე დაამატა, რომ კოლეჯში ფორმა შენარჩუნდება, მაგრამ ამავე დროს, მას ყოველი ცალკეული მოსწავლის ინდივიდუალური თვისებების შესაბამისად შეარჩევენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## გერმანელმა ბებიამ ჰიტლერის სადღეგრძელო შესვა



გერმანიაში მოხუცმა ქალმა, რომელიც თავისი ოჯახის წევრებთან ერთად რესტორანში იმყოფებოდა, სამჯერ ასწია სასმისი და ფიურერი ადღეგრძელა შეძახილით „ჰაილ ჰიტლერ!“, მიუხედავად ნათესავების მხრიდან სიცილისა და შეცბუნებისა.

ამ მოვლენის ამსახველ ვიდეოზე ჩანს, რომ ერთ-ერთი ახალგაზრდა ნათესავი მოხუცს ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებს, მაგრამ ქალი აშკარად ვერ ითავისებს საკუთარ შეცდომას და ისევ ხმამაღლა წარმოთქვამს მეორე მსოფლიო ომის დროინდელ გერმანელების საყვარელ სადღეგრძელოს.

სავარაუდოდ აღნიშნული ვიდეორგოლი შობის ან ახალი წლის ღამესაა გადაღებული, ვინაიდან მაგიდაზე თოვლის კაცის გამოსახულება დგას.

## ხანძარს გადარჩენილი კენგუროები ვეტ-საავადმყოფოში მოათავსეს



ავსტრალიის დასავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქ ოურენის მაშველებმა მოახერხეს ხანძრისგან ეხსნათ ორი პატარა კენგურუ. ისინი ადგილობრივ ვეტერინარულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მათ დაშავებული თათები წამლით დაუმუშავეს და შეუხვიეს.

კენგუროებთან ერთად საავადმყოფოში ასევე მოხვდნენ ხანძრის შედეგად დაშავებული კატები, ოპოსუმები და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი.

კლიმატური ცვლილებების ექსპერტების განმარტებით, ავსტრალიის ზოგიერთ რეგიონში კლიმატი სულ უფრო მშრალი და ცხელი ხდება, რაც ხანძრის გაჩენის შესაძლებლობას უფრო მეტად ზრდის.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# სკანვორდი



1. სასმისი; 2. ქართული გაზეთი; 3. რასელ ...; 4. პირბადე; 5. ვულკანიდან ამონთხეული მასა; 6. ექსპერიმენტი; 7. ლექსის სტრიქონი; 8. იაპონიის იმპერატორთა ტიტული; 9. სხვადასხვა მოძრაობათა შეთანხმებულობის დარღვევა; 10. ერთგვარი დოლი; 11. უხეში; 12. ჭადრაკის ფიგურა; 13. შლამის თევზი; 14. იაპონელთა სამოსელი; 15. ქალის სახელი; 16. გომბეშო; 17. მდინარე კავკასიაში; 18. შოუს პიესა; 19. კლავიშებიანი საკრავი; 20. ერთ-ერთი მახარებელი; 21. ჩაკ ...; 22. დიდი ჩაქუჩი; 23. ქალაქი ბელგიაში; 24. ქინქლა; 25. ტუსაღი; 26. მთავარი სისხლძარღვი; 27. ბერძენთა მიწის ქალღმერთი; 28. ქონებიდან მიღებული რეგულარული შემოსავალი; 29. ... კლინტონი; 30. ამერიკული თვითმფრინავი; 31. ჯარი; 32. კავკასიის მთიელთა სოფელი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მუტაცია; 2. ტაბა; 3. ბარბი; 4. ცვაიგი; 6. ქრისტინე; 9. ნოქარი; 13. მაჯონგი; 14. შევროლე; 15. პალაცო; 17. პერიე; 18. შხარა; 20. ბონი.

**თარაზულად:** 1. მეტეორი; 5. ქორქი; 7. ხარკოვი; 8. ტიბაანი; 10. მერია; 11. ბროლი; 12. ქოქოსი; 16. ლენონი; 17. პუნში; 19. ჯემი; 21. მაინცი; 22. ციცარი; 23. როსინი; 24. სეზარი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. დნესტრი; 2. საბენა; 3. თერაპევტი; 4. შარადა; 5. ფორსინგი; 7. ნომი; 11. ლუმიერი; 13. ვარაუდი; 15. ელესა; 16. კომლი; 18. ნარდი; 19. რაცია.

**თარაზულად:** 6. ნიანგი; 8. თაკვერი; 9. ტერტერა; 10. ტარიელი; 12. დაფნე; 14. ბატონი; 17. ტერენკური; 20. ფაეტონი; 21. ესკიზი; 22. დევიზი; 23. მიკიტანი.

# ასტროპროგნოზი

## 25 იანვრისთვის



**ვერძი** – წინააღმდეგობრივი დღეა. განსაკუთრებით იღბლიანი პერიოდია მდედრობითი სქესის წარმომადგენელთათვის. თქვენი მომხიბვლელობა გარშემომყოფების აღფრთოვანებასა და სიმპათიას იწვევს. **კურო** – იფრთხილეთ. არანაირი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ მიიღოთ. კარიერაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **ტყუპები** – შემოსავლის ახალ წყაროს იპოვით. ფინანსური ოპერაციები წარმატებული იქნება. საქმიანი მოლაპარაკებები თქვენთვის სასიკეთო შედეგით დასრულდება. **კირჩხიბი** – სამსახურში არასახარბიელო ვითარებაა. ზედმეტად თავს ნუ დაიტვირთავთ. საღამოს მყუდრო გარემოში დაისვენეთ. **ლომი** – ფინანსური ოპერაციებისას სიფრთხილე და თავშეკავება გამოიჩინეთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **ქალწული** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. დღეს უმართლებთ თეატრის სფეროში მომუშავეებს. მსხვილი შენაძენისგან თავი შეიკავეთ. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა კომერციული საქმიანობისთვის. ბიზნესმოლაპარაკებები წარმატებული იქნება. **ღრიანკალი** – ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავეთ. ნუ ეცდებით ველოსიპედის გამოგონებას. აკეთეთ ის, რაც კარგად იცით. **მშვილდოსანი** – მიღებული ინფორმაცია სარგებლობას მოგიტანთ. შესაძლოა შემოსავლის დამატებითი წყარო გაგიჩნდეთ. ახალი იდეების რეალიზაციაში ხელი არ შეგეშლებათ. **თხის რქა** – ახალი საქმე თამამად დაიწყეთ და ბოლომდე მიიყვანეთ. სასიყვარულო ურთიერთობებში ინტუიციას მიენდეთ. **მერწყული** – პასიური დღეა. თუ სისუსტეს გამოიჩენთ, ეს თქვენს წარმატებაზე უთუოდ აისახება. ახლობლებზე ზედმეტი მზრუნველობა საჭირო არ არის. **თევზები** – საყიდლებზე წასვლა იღბლიანი იქნება. მეგობრები ფინანსურად დაგეხმარებიან. გართობა რეკომენდებულია ზომიერების ფარგლებში.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# 30 იანვარს ოპერისა და ბალეტის თეატრი საზეიმოდ გაიხსნება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ერის მოხატულობა, სცენის მექანიზმი, თეატრის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა, გადიდდა საორკესტრო ორმო, გადაკეთდა ჯანსუღ კახიძის სახელობის სარეპეტიციო დარბაზი, გაკეთდა მცირე სცენა და საორკესტრო ადგილი.

გაიწმინდა ნოდარ ერგემლიძის დიზაინით ავსტრიაში დამზადებული 100 ნათურიანი ბროლის ჭაღი, თეატრს დაემატა ღია ვერანდები და საგამოფენო სივრცე.

მსახიობებისათვის გაკეთდა ახალი საგრიმიოროები, ანტრაქტების დროს დასასვენებელი დარბაზი, თანამშრომლებისთვის აშენდა სასადილო, შეძენილია ახალი ავეჯი, ტექნიკა, ორკესტრისთვის ახალი ინსტრუმენტები.

გადიდდა თეატრის მიმდებარე სკვერი, სადაც დაკრძალული არიან კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი, ქართველი ტენორები ვანო სარაჯიშვილი, ზურაბ ანჯაფარიძე და დირიჟორი ოდისეი დიმიტრიადი.

გერმანულ კომპანიაში „გერიეცი" სერგო ქობულაძის ესკიზის მიხედვით თეატრის ფარდა დაიბეჭდა, დამზადდა ეკრანები, რეეკრანები და სცენის ჩაცმულობის სხვადასხვა აქსესუარი. „გერიეცმა" შეიძინა „პანასონიკის" ფირმის 2 მძლავრი პროექტორი, რომელიც შეამცირებს სპექტაკლების სადადგმო ღირებულებას.

ავსტრიულმა ფირმა „ვაგნერმა" და სერბეთის „სვეტლიოსტმა" დაამონტაჟეს თანამედროვე პროჟექტორები განათებისთვის, გერმანულმა ფირმა „ზალცბრენერმა" თეატრი გახმოვანების უახლესი აპარატურით აღჭურვა.

* * *

ოპერის თეატრი სპექტაკლით „აბესალომ და ეთერი" გაიხსნება.

ახალი დადგმის რეჟისორია გიზო ჟორდანია, მხატვარი გოგი ალექსი-მესხიშვილი. დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი, ქორეოგრაფი ილიკო სუხიშვილი.

სპექტაკლის ყველა კოსტიუმი „სამოსელი პირველის" მიერ არის შეკერილი.

წამყვან პარტიებს შეასრულებენ მსოფლიოში აღიარებული ქართველი მომღერლები ლადო ათანელი და თამარ ივერი, რომლებიც თეატრმა სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის მოიწვია.

სპექტაკლში მონაწილეობას მიიღებენ ოპერის თეატრის წამყვანი სოლისტები თეიმურაზ გუგუშვილი, არმაზ დარაშვილი, ნიკოლოზ ლაგვილავა, ხათუნა ჭოხონელიძე, თეა დემურიშვილი, ირინა ალექსიძე, მარიკა მაჩიტიძე, ნინო ჩაჩუა, კახა თეთვაძე, გოჩა დათუსანი.

„აბესალომ და ეთერის" პრემიერები 4 დღის განმავლობაში გაიმართება.

თეატრის საბალეტო დასი ოპერის განახლებულ შენობაში პირველ საბალეტო პრემიერას, დავით თორაძის „გორდას", 12 თებერვალს წარმოადგენს.

„გორდას" აღდგენის ინიციატივა საბალეტო დასის ხელმძღვანელს ნინო ანანიაშვილს ეკუთვნის, რომელიც ბალეტის ახალი ქორეოგრაფიული ვერსიისა და ლიბრეტოს ავტორია.

დადგმაზე საბალეტო დასის მთელი კოლექტივი მუშაობდა.

„გორდას" დეკორაციები მხატვარ დავით მონავარდისაშვილს ეკუთვნის, კოსტიუმები კი – ანა კალატოზიშვილს. ბალეტის მუსიკალური ხელმძღვანელია დირიჟორი რევაზ ტაკიძე.



„გორდა" ვახტანგ ჭაბუკიანმა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში 1949 წელს დადგა. მთავარ როლს ამ ბალეტში ლეგენდარული მოცეკვავე და ქორეოგრაფი თავად ასრულებდა.

1996 წელს „გორდა" ბალეტმეისტერისა და ქორეოგრაფის ზურაბ კიკალეიშვილის მიერ აღდგა. „გორდა" თეატრის რეპერტუარში ათეული წლების განმავლობაში იყო წარმოდგენილი.

* * *

განახლებული თეატრის გახსნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდება. დაგეგმილია თეატრის 100 წლიანი ისტორიის შესახებ გამოცემული წიგნისა და ოპერის ფარდის შესახებ გადაღებული ფილმის პრეზენტაცია, ფოტოგამოფენა „ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობა რეაბილიტაციამდე და რეაბილიტაციის შემდეგ", ოპერისა და ბალეტის თეატრის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იქნება საოპერო და საბალეტო ხელოვნების კოსტიუმების უნიკალური კოლექცია, პარტიტურები, ძველი აფიშები და პროგრამები.

31 იანვარს „აბესალომ და ეთერის" საპრემიერო ჩვენება გამოჩენილ ქართველ საოპერო მომღერალსა და სახალხო არტისტს, მედეა ამირანაშვილს მიეძღვნება. ამავე დღეს, ოპერის წინ მედეა ამირანაშვილის ვარსკვლავი გაიხსნება.

**მიხეილ გიორგაძე, კულტურის მინისტრი:**

– კლასიკური მუსიკა, ოპერა, ბალეტი არის არა მხოლოდ ხელოვნების ერთ-ერთი მიმართულება და დარგი, ეს არის მაჩვენებელი ქვეყანაში არსებული ინტელექტუალური პოტენციალის, შემოქმედებითი პოტენციალისა და ისტორია, რომელიც ამ ნაწილში თეატრს აქვს, ნამდვილად წინაპირობაა იმისა, რომ თეატრი წარმატებული იყოს.

**ნიკოლოზ ჩხეტიანი, ფონდ „ქართუს" დირექტორი:**

– თეატრს უფრო მეტი შესაძლებლობა მიეცა, რომ არა მხოლოდ სადადგმო, არამედ სხვა უფრო დიდი ღონისძიებებიც ჩაატაროს. მოხდა ოპერის სრული გადაიარაღება. მთლიანად გამოიცვალა ტექნიკა, აპარატურა, აღჭურვილობა, გაყვანილობა. ოპერას გაუჩნდა ახალი სარეპეტიციო სივრცეები. მას აქვს შესაძლებლობა, პარალელურ რეჟიმში რამდენიმე რეპეტიცია ჩაატაროს და არ დატვირთოს ყოველი რეპეტიციის დროს დარბაზი.

**დავით კინწურაშვილი, ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი:**

– ჩვენს თეატრში უდიდესი სამუშაოები ჩატარდა და ამას 6 წელი დასჭირდა. ისტორიული სახე მთლიანად შეინარჩუნა თეატრმა. ყველაზე მნიშვნელოვანი არის თეატრის სცენა, რომელიც აღიჭურვა მთლიანად კომპიუტერებით, უნიკალური განათების სისტემაა, საუნდტექნიკა. ეს არის სცენა, რომელიც აქვს ყველა თანამედროვე თეატრს.

თეატრში არის ძალიან კარგი აკუსტიკა, საორკესტრო ორმო იდეალურია. განახლდა დარბაზი, გალამაზდა სკვერი. უკვე ზუსტად გვაქვს გაწერილი ერთწლიანი გეგმა და იმედს ვიტოვებთ, რომ მაყურებლის ხანგრძლივი მოლოდინი გამართლდება.

**ნინო ანანიაშვილი, საბალეტო დასის ხელმძღვანელი:**

– ჩვენ დავით თორაძის „გორდა" ავირჩიეთ აღსადგენად. ის ვახტანგ ჭაბუკიანმა დადგა პირველად და ეს იყო საეტაპო და ყურებადი სპექტაკლი. ეს წარმოდგენა რამდენიმე წელია არ ყოფილა თეატრში. დიდი ხანია მინდოდა ამ ბალეტის აღდგენა, მაგრამ ველოდებოდი ხელსაყრელ მომენტს.

ეს არის ქართული თემა, ჩვენ გვიყვარს, როცა სცენაზე ქართული პროდუქტია. „გორდა" ქართული ცეკვის და ბალეტის სინთეზია. ვახტანგ ჭაბუკიანმა სამჯერ შეცვალა ეს სპექტაკლი და ცვლილებები ჩვენც შევიტანეთ. სპექტაკლი იქნება უფრო დინამიური, უფრო თანამედროვე, დღევანდელი სცენა გვაძლევს ამის საშუალებას.

**გიზო ჟორდანია, რეჟისორი:**

– ეს „აბესალომ და ეთერი" გაცილებით ახლოს იქნება ფალიაშვილთან, უფრო ახლოს მივა მაყურებელთან და მჯერა, რომ ამ თეატრის საზეიმო გახსნაზე მობრძანებულ საზოგადოებაში დაუვიწყარ ემოციებს გამოიწვევს.

**თამარ ივერი, საოპერო მომღერალი:**

– ინტენსიური მზადება მიდის თეატრის გახსნისთვის, რეპეტიციები დიდი ხანია მიმდინარეობს. ლამაზი დადგმაა, ძველ ქართულ სტილში, ულამაზესი კოსტიუმებია, სუხიშვილების ქორეოგრაფია ამდიდრებს სპექტაკლს უმაღლეს დონეზე. მთლიანობაში მდიდრული სპექტაკლია.

სულ სხვა შეგრძნებაა, როდესაც გამოდიხარ შენს ქვეყანაში და მღერი შენი მსმენელისთვის. ჩვენც ყველანი ვღელავთ და გვჯერა, რომ მათ მოლოდინს გავამართლებთ.

**ლადო ათანელი, საოპერო მომღერალი:**

– დატვირთული ვარ ემოციით, 23 წლიანი პაუზის შემდეგ, კვლავ ვბრუნდები აქ. ჩვენი ულამაზესი თეატრი კიდევ უფრო გალამაზდა. გენიალური „აბესალომ და ეთერით" გაიხსნება თეატრი და ამაყი ვარ, რომ გახსნაზე შევასრულებ მურმანის პარტიას. მართალია, მურმანი უარყოფითი პიროვნებაა, მაგრამ ვეცდები, მაყურებელს დადებითი მუხტი გავუგზავნო.

**გოგი ალექსი-მესხიშვილი, მხატვარი:**

– სპექტაკლის გამოშვების პერიოდი არის ყველაზე რთული – კოსტიუმები, დეკორაცია, რეკვიზიტი, ყველაფერი ერთად იყრის თავს. ყველა მობილიზებულია, ყველას უხარია და გახსნა აუცილებლად იქნება გრანდიოზული.

# TV პროგრამა

## ოქშაბათი 25 იანვაიი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 23.00 ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" 12.30 "ფერმა" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "მუსიკოლოგოსი" 14.30 ან/ფ "მხიარული ფერმა" 15.00 დ/ფ "ჯეიმი ოლივერის დიდი ბრიტანეთი" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 22.00 "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**ანჯელას ფერფლი**"

08.00 დ/ფ "კიდევ სცადე" 09.00 მხ/ფ "**ყინულის კაცი**" 10.35 დ/ფ "ვენეცია" 11.00 ქართ. მხ/ფ "**კეთილი ადამიანები**" 12.30 დ/ფ "ტაილანდი" 13.00 დ/ფ "სიგარეტის გადაგდება" 14.00 "ეპიცენტრი" 15.00, 18.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 16.00 ტ/სერ. "**ნიკიტა**" 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ოცი წუთი**" 11.20 სერ. "**კონტრაქტის პირობები**" 8 სერ. 12.30 დღის შოუ 17.35 სერ. "**დაკარგული წლები**" 18.45, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 იუმორინა 00.00 მხ/ფ "**აკოცე გოგონებს**" (ე.ჯადი) 02.10 მხ/ფ "**პატარა ფოკერები**" (ბ.სტილერი) 03.45 ერთხელ საქართველოში 04.15 მხ/ფ "**საჰარა**"

06.00, 19.55 სერ. "**აღთქმა**" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.40 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.55 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 22.00 ნიჭიერი 23.30 სერ. "**სიცრუის თეორია**" 8 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

GDS 8.30, 18.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები (გამეორება) 9.00 Discovery. ბეკონის შეერთებული შტატები 10.00 ან/სერ. ავატარი ლეგენდა აანგის შესახებ 10.30 ჯიდიპედია 11.30 შუადღე 14.00 სერ. "**ჯონათან. სტრეინჯი და მისტერ ნორელი**" 15.00, 19.00 სერ."**ახალი გოგო**". სეზ. 4, სერ. 3, 4. 15.30, 19.30 სერ. "**ცენტრი**" სეზ. 4, სერ 3, 4. 16.00 Discovery ბეკონის შეერთებული შტატები 16.30 აირჩიე კაბა 17.00 საქორწილო გარდასახვა 17.30 ან/სერ. "**ავატარი ლეგენდა აანგის შესახებ**" 20.00 ცოლები და ქმრები 20.30 20.30 22.00 მზარეულები 22.30 ტიფლისი 23.40 მხ/ფ "**როგორ მოკლა მშიშარა ბობ ფორდმა ჯესი ჯეიმსი**" 2.35 ID Extra დანაშაულები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა 3.35 ჯიდიპედია

06.10 მუს.პაუზა 06.15 ივერიის ეკლესია 06.35 პატერიკი 06.45 ქართული ალბომი 07.20 დ/ფ "ნარკომანია-თავისუფლება თუ მონობა" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს. პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "**მე, ბებია, ილიკო და ილარიონი**" 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "მაგნოლია" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.35 ბავშვები მუზეუმში 15.50 სპექტაკლი "**წუთისოფელი ასეა**" 18.05 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.50 ისტორიის დღიური 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ "**გლახის ნაამბობი**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 პატერიკი 21.35 საეკლესიო აღმშენებლობა 22.25 საქართველოს სამართლის ისტორია 22.30 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.30 დ/ფ 00.25 დ/ფ "ხომლი ფშავ-ხევსურეთი" III ნაწ. 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ყოჩაღი ბიჭები" (ჟესტიკულაციით) 7.55 გადაცემა "საქმიანი დილა" 10.05 სერ. "**სხვისი სხეული**" 11.05 სერ. "**ქუზეი და გუნეი**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი 13.30, 14.05 , 16.05, 17.05, 1.00 სერ. "**ტატიანა**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05, 2.30 სერ. "**ბერძენი ქალი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45, 22.30 სერ. "**ქარის რჩეული**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ნინი წიკლაური გათხოვდა



მომღერალი ნინი წიკლაური გათხოვდა. მომღერალი, რომელიც პოპულარული „ჯეოსტარიდან" გახდა, ბევრ მუსიკალურ პროექტში მონაწილეობდა. ნინი რამდენიმე წლის წინ ამერიკაში კარიერის ასაწყობად წავიდა და როგორც ჩანს, პირადი ცხოვრებაც აიწყო. ის სპეციალურად ჩამოვიდა საქართველოში და საყვარელ ადამიანზე დაქორწინდა.

ქორწილამდე რამდენიმე დღით ადრე, მომღერალმა სოციალურ ქსელში ბეჭდის ფოტო გამოაქვეყნა წარწერით:

– ეს არის ჩემი პირველი საქორწინო საჩუქარი ჩემთვის უძვირფასესი ადამიანებისგან, რომელსაც არასოდეს მოვიხსნი.

ქორწილის დღემდე ფართო საზოგადოებისთვის ნინის რჩეულის ვინაობა გასაიდუმლოებული იყო. ქორწილი ამ უქმეებზე გაიმართა, სადაც მიწვეული იყვნენ სხვადასხვა ცნობილი სახეები.

გავრცელებული ფოტოებიდან გაირკვა, რომ ნინი წიკლაური თემო ტუღუშს გაჰყვა ცოლად.

ახლად დაქორწინებულებმა უამრავი მილოცვა და საუკეთესო სურვილები მიიღეს.

# სამგლოვიარო განცხადებები



და ელიკო, შვილი გოჩა, თამარი, რძლები მაია, მარინა, ანა, სალომე, შვილიშვილები ლევანი, ნინო, გიორგი, მარიამი, ძმისშვილები ირინა, თამაზი, ძმის შვილიშვილები დიმიტრი, აქსანა, დიანა, ნიკა, ლევანი, ანა, ბიძაშვილები, ბიძაშვილიშვილები ოჯახებით იუწყებიან

**ჟორა (გიორგი) კიმოთეს ძე ფერაძის**

გარდაცვალებას.
პანაშვიდი 22, 23 იანვარს, 16 საათზე.
დაკრძალვა 24 იანვარს, 14 საათზე.
ვ.კაკაბაძის გასასვლელი № 10-დან

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# მიშა მესხი უკრაინელ ექიმებს გადაურჩენიათ



მსახიობი მიშა მესხი უკრაინელმა ექიმებმა გადაარჩინეს. ის თავის მეგობართან ერთად უკრაინაში იმყოფებოდა, სადაც ტაქსით მგზავრობისას ცუდად გახდა და გონება დაკარგა.

უკრაინული მედიის ინფორმაციით, ბორისპოლის აეროპორტისკენ მიმავალ გზაზე მსახიობმა და მისმა მეგობარმა ტაქსიში გრძნობა დაკარგეს. ტაქსის მძღოლმა პატრული გამოიძახა. ადგილზე მისულმა პატრულმა და სასწრაფო დახმარების ექიმებმა ქართველების გადარჩენა შეძლეს. მედიკოსების ვარაუდით, ქართველები მეტადონის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ. მათ თან ჰქონდათ აბები, რომლებიც, შესაძლოა, ნარკოტიკების ჯგუფს ეკუთვნოდეს.

მიშა მესხი და მისი მეგობარი საავადმყოფოში გადაიყვანეს. უკრაინელი სამართალდამცავების მიერ შემთხვევის ადგილზე გადაღებული ვიდეო უკრაინულმა მედიამ გაავრცელა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს შემთხვევა უკრაინაში ნოემბერში მოხდა და ახლა მიშა მესხი თავს კარგად გრძნობს. მისი მეგობრებისთვის გაუგებარია, რატომ მოხდა ამ ვიდეოს სწორედ ახლა გავრცელება.

ვიდეო ელვის სისწრაფით გავრცელდა ინტერნეტში და საზოგადოების მხრიდან არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. სოციალური ქსელის მომხმარებელთა ნაწილმა მიშა მესხი გალანძღა და მიწასთან გაასწორა, ნაწილმა კი ის უბრალოდ შეიცოდა და გამოჯანმრთელება უსურვა.

უკრაინაში გადაღებულ ვიდეოს გამოეხმაურა რეჟისორი ზაზა ურუშაძეც და ადამიანებს სხვის ცხოვრებაში ქექვის სანაცვლოდ, საკუთარი ცხოვრებით დაკავება ურჩია:

– რა გჭირთ, ხალხო, რა დაეტაკეთ ამ ბიჭს, მეტი საქმე არ გაქვთ???!!!

რას აქვეყნებთ გამწარებული ამ ვიდეოს, როგორ სძინავს მიშას ტაქსში, იმის მაგივრად, იგნორი გაუკეთოთ ამ ყოვლად ამაზრზენ, ადამიანის უფლებების შემლახველ ვიდეოს! რა გაბოროტებულები ხართ! ოსკარებზეც თუ დაიძინა, მე უნდა შევწუხებულიყავი ყველაზე მეტად, ჩემს მხარზე ეძინა და მე ვუვლიდი, თქვენ რამ შეგაწუხათ ასე????!!!! სხვისი ცხოვრებით ნუ ცხოვრობთ, დაიღუპებით!

# ნუცა ბუზალაძემ თურქული „ვოისის" მესამე ტურიც მოიგო



მომღერალმა ნუცა ბუზალაძემ თურქული ვოისის მესამე ტურშიც ფურორი მოახდინა.

– მესამე ტურიც წარმატებით დასრულდა, – ასეთი განცხადება გააკეთა ნუცა ბუზალაძემ სოციალურ ქსელში და თურქული ვოიაჟის ამსახველი ფოტოებიც გაავრცელა.

მომღერალი გულშემატკივრებმა უამრავი კომპლიმენტით, მოწონებით და თბილი სიტყვით გაამხნევეს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


25 იანვრისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.4694

ევრო — 2.6766

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5228

100 რუსული რუბლი — 3.0883

**ამინდის პროგნოზი 25 იანვრისთვის**




## კალეიდოსკოპი



### ამერიკელმა შხამის ვაქცინისთვის თავი გველებს დააკბენინა

ამერიკის ვისკონსინის შტატის მცხოვრებმა ტიმ ფრიდმა შხამიან გველებს საშუალება მისცა, მისთვის 160-ჯერ ეკბინათ, რათა ვაქცინა შეექმნა. მამაკაცმა საკუთარ ორგანიზმში შხამის შეყვანა იმ მიზნით დაიწყო, რომ მის მიმართ იმუნიტეტი გამოემუშავებინა.



– მე მივხვდი, რომ ამან შესაძლოა კაცობრიობას სარგებლობა მოუტანოს. ძალიან ბევრი ადამიანი დაიღუპა მათი ნაკბენისგან და როდესაც ცდას დავასრულებ, ჩემი ვაქცინა ადამიანებს დაეხმარება, არ შევჩერდები, სანამ შედეგს არ მივაღწევ ან დავიღუპები, – განაცხადა ფრიდმა.

ამერიკელის თქმით, კვლევის მოცემულ ეტაპზე მის ორგანიზმს უკვე შეუძლია ექიმების ჩაურევლად შეეწინააღმდეგოს შხამის მოქმედებას. მამაკაცს ადრეც უკბინა ტაიპანმა და შავმა მამბამ (მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე შხამიანი გველები), რომლებიც მას სახლში ჰყავს შინაური ცხოველებივით. ასევე მის ბინაში ბინადრობენ წყლის კობრა და ორი ჩხრიალა გველი.

### ახალ ზელანდიაში ქორწილში ჰაკა შეასრულეს

ახალ ზელანდიაში გამართული ქორწილის ამსახველი ვიდეო, რომელზეც ასახულია, თუ როგორ ასრულებენ მაორის ტომის პატარძლის აალიას ახლობლები მათ ეროვნულ ცეკვას ჰაკას, იუთუბიზე იქნა განთავსებული და ის 13 მილიონზე მეტმა ადამიანმა ნახა, რის შედეგადაც ინტერნეტ-ჰიტად იქცა. მაორელი პატარძლის საქმრო თეთრკანიანი ახალგაზრდა ბენჯამინ არმსტრონგია.



საქორწინო ცერემონია ქალაქ ოკლენდში გაიმართა. ცეკვა სიურპრიზი აღმოჩნდა ახალდაქორწინებულებისთვის. ის ფარულად მოამზადა და დადგა პატარძლის ერთ-ერთმა ნათესავმა. 21 წლის აალიამ და 24 წლის ბენმა სათანადოდ შეაფასეს საჩუქარი და მოცეკვავეებს შეუერთდნენ, პატარძალს ცრემლებიც კი წამოუვიდა.

ახალი ზელანდიის აბორიგენი მოსახლეობის ტრადიციული ცეკვა მსოფლიოში ცნობილი ამ ქვეყნის მორაგბეთა შესრულების წყალობით გახდა, რომელსაც ისინი მატჩის დაწყების წინ ასრულებენ.

### თურქეთში რუსი ბიზნესმენის იახტა დაიწვა

სუპერიახტა, რომელიც სავარაუდოდ რუს ბიზნესმენს ეკუთვნოდა, თურქეთის კურორტ ფეტხის პორტში დგომის დროს დაიწვა.

27 მეტრიან იახტა დედოფალ ანაზე ხანძარმა შუადღისას იფეთქა, ძლიერი წვიმის დროს. თვითმხილველთა თვალწინ ცეცხლის ალმა მთელი იახტა მოიცვა. იმის შიშით, რომ ცეცხლი შესაძლოა სხვა, გვერდით მდგომ იახტებზეც გადასულიყო, ცეცხლმოკიდებული იახტა ბუქსირით უსაფრთხო ადგილზე გადაიყვანეს. თუმცა ამის მიუხედავად, გვერდით მდგომი ორი იახტა მცირედით მაინც დაზიანდა.



ხანძრის შედეგად იახტის კაპიტანი ვლადიმერ ლოპატა დაზიანდა, ის სასუნთქი ორგანოების დაზიანებით ადგილობრივ საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. მიმდინარეობს ხანძრის გაჩენის გამომწვევი მიზეზების დადგენა.

რუსი ბიზნესმენის იახტის დედოფალ ანას ღირებულება 4 მილიონი ფუნტ სტერლინგია (5,7 მილიონი დოლარი) და ის 2009 წელს იქნა აგებული.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# 30 იანვარს ოპერისა და ბალეტის თეატრი საზეიმოდ გაიხსნება

## თამარ ივერი: „სულ სხვა შეგრძნებაა, როდესაც გამოდიხარ შენს ქვეყანაში და მღერი შენი მსმენელისთვის“



**ეკა ირემაშვილი**

6 წლიანი მოლოდინის შემდეგ, 30 იანვარს, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი საზეიმოდ გაიხსნება.

თეატრის შენობის რემონტი 2010 წელს ფონდ „ქართუს“ ფინანსური უზრუნველყოფით დაიწყო და მასზე 40 მილიონი დაიხარჯა.

პროექტის მთავარი არქიტექტორია ლერი მეძმარიაშვილი. „ქართუმ“ ის სპეციალურად დაიქირავა, რადგან ის იყო ოპერის არქიტექტორი ცნობილი ხანძრის შემდეგ. პროექტი ითვალისწინებდა თეატრის სრულ აღდგენით-სარესტავრაციო სამუშაოებს.

სარემონტო სამუშაოების შედეგად გამაგრდა ფუნდამენტი, სახურავი ფურცლოვანი სპილენძით გადაიხურა, განახლდა თეატრის ინტერი-


გაგრძელება მე-11 გვერდზე


# ლევან კობიაშვილი: „კახა ცხადაძე ნაკრების მწვრთნელი აღარ იქნება“



ქართულ ფეხბურთში ბოლო დროს მოვლენები ისე განვითარდა, რომ ეროვნული გუნდი თავკაცის გარეშე დარჩა.

ამის შესახებ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა მასმედიასთან შეხვედრის დროს განაცხადა.

პრესკონფერენციას სფფ-ს გენერალური მდივანი დავით მუჯირი და პირველი ვიცე-პრეზიდენტი კახა ჭუმბურიძეც ესწრებოდნენ.

**ლევან კობიაშვილი:**

– კახა ცხადაძეს პირველი შეხვედრის შემდეგ ახალი ხელშეკრულება შევთავაზე. სულ სამჯერ შევხვდით ერთმანეთს და კახას ჩემი სრული მხარდაჭერა ჰქონდა. მეგობრულადაც ვთხოვე, გვერდით დამდგომოდა. სამწუხაროდ, ყველა შეხვედრის შემდეგ კატეგორიული უარი მივიღე.

ბოლოს, მის პრესკონფერენციამდე შევხვდი – უფრო სწორად, წინა საღამოს. მან კარგად იცოდა, რომ საქართველოში არ ვიქნებოდი. ბელარუსში გავემგზავრეთ, რათა 17-წლამდელთა ნაკრების თამაშს დავსწრებოდი და ბელარუსის ფედერაციის ხელმძღვანელებს შევხვედროდით. მათ ისეთი სისტემა აქვთ, რის დანერგვასაც საქართველოს ჩემპიონატში ვაპირებთ. გარდა ამისა, ნი-


გაგრძელება მე-9 გვერდზე


## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ... ჩოხის ქვეშ ჩასაცმელი; 2. ვიტამინი ბ; 3. ეკლესიას მიდგმული საგვარეულო სასაფლაო; 5. საგნებით ჩახერგილი ქუჩა; 7. ერთგვარი მაქმანი; 9. წელიწადის დღეების აღრიცხვის სისტემა; 13. სპილენძის თეფშები (საკრავი); 15. თუთისებრთა ოჯახის მცენარე; 16. მშვენიერების მოტრფიალე; 18. შიკრიკი.

**თარაზულად:** 4. რაიმე საქმიანობის დამწყები; 6. საცეკვაო მოედანი; 8. ორი საპირისპირო შესაძლებლობიდან ერთ-ერთის არჩევის აუცილებლობა 10. საიდუმლო პოლიტიკური დავალებით გაგზავნილი პირი; 11. გამოყვანილი ღორის ხორცი; 12. თოვლის ჯიქი; 14. ჭადრაკის „მუზა“; 17. სამოთხე; 19. გუთნის ნაწილი; 20. ქალაქი ბრიტანეთში; 21. ჭრილობა; 22. ადამიანის სიკვდილით დასასჯელი მანქანა; 23. სსრკ-ში ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის წევრი.

**შეადგინა ოლივერ კოხიამ**



## იუმორი



ქმარი ცოლს ეკითხება:

– ძვირფასო, ხვალ დაბადების დღეზე რა გინდა, რომ გაჩუქო?

– არაფერი, საყვარელო, უბრალოდ, ნუ დათვრები და ეს იქნება ჩემი საუკეთესო საჩუქარი.

– ეგ ხომ გუშინ გაჩუქე და მოდი, ნუ გავმეორდებით...

●●●

ტურისტულ სააგენტოში ტელეფონი რეკავს:

– ეგვიპტის საგზურები გაქვთ?

– დიახ.

– თუ შეიძლება, იქაური კურორტები ჩამომითვალეთ.

– შარმ-ელ-შეიხი, ჰურგადა, ტაბა, ნუვეიბა...

– დაიცადეთ, ჰო, სწორედ ნუვეიბაა, სწორედ ეგ მინდოდა!

– როდის გსურთ იქ გამგზავრება?

– რა გამგზავრება, კროსვორდს ვავსებ. მადლობა ნუვეიბა ჩაჯდა.

●●●

მიმდინარეობს გაუპატიურების საქმის მოსმენა. დაბალმა მამაკაცმა ტელეფონის ჯიხურში მაღალი ქალი გააუპატიურა. ბრალდებულის ადვოკატი ამბობს:

– ბრალდებული, რომლის სიმაღლე 150 სანტიმეტრია, 190 სანტიმეტრის სიმაღლის ქალს ვერ გააუპატიურებდა!

პროკურორი პასუხობს:

– დანაშაულის ადგილზე ნაპოვნი იქნა ქვაბი. დამნაშავეს შეეძლო, მასზე დამდგარიყო!

– პროტესტს ვაცხადებ! ქვაბის სიმაღლე მხოლოდ 20 სანტიმეტრია. 150+20=170 სანტიმეტრია, მაინც არ გამოდის.

მოსამართლე:

– ბრალდებული უდანაშაულოა.

სასამართლოს შემდეგ ადვოკატი თავის კლიენტს ეკითხება:

– მე ხომ ვიცი, რომ ეს შენ გააკეთე, მაგრამ როგორ???

– დაიხარა, ქვაბი თავზე ჩამოვაცვი და მის სახელურებზე ავიწიე.

●●●

მეცნიერები ამტკიცებენ რომ ადამიანის ორგანიზმი 25 წლამდე იზრდება და მერე ზრდას წყვეტს, მაგრამ, როგორც ჩანს, მუცელმა და უკანალმა ეს არ იციან.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– როგორი ბედნიერი სახე გაქვს, რა მოხდა?

– რა და, თავი ყველაზე ზარმაცი რომ მეგონა, საქმე არც მთლად მასე ყოფილა.

– მაინც?

– ამ დილით დავინახე, რომ ჩემი პირველ სართულზე მცხოვრები მეზობელი ძაღლს ფანჯრიდან გადმოყოფილი ჯაჭვით ასეირნებდა.

●●●

რესტორანში სოლიდური შეხედულების მამაკაცი მაგიდასთან მივა, რომელთანაც ლამაზი ქალი ზის და ეკითხება:

– გამარჯობათ! შეიძლება თქვენ მაგიდასთან დავჯდე?

– დიახ, დაბრძანდით...

– ნება მომეცით გაგეცნოთ, მე დიმიტრი მქვია! დეპუტატი ვარ, პატიოსანი და წესიერი ადამიანი...

– ძალიან სასიამოვნოა! მე ნინიკო მქვია, 35 წლის, ვიპმეძავი, ... ჯერ ისევ ქალიშვილი!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


ლურჯი წითელი ყვითელი შავი